პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 197 (9973) | პარასკევი, 20 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. — **მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ** (1-ლი და მე-2 გვერდი).

ს. რიჟინაშვილი. — დაუვიწყარი შეხვედრები გამოფენაზე (მე-2 გვერდი).

ვ. გურგენიძე. — ხელიდან უშვებენ საკვებას დამზადების საუკეთესო დროს (მე-2 გვერდი).

ადგილობრივი საბჭოები და ახალი სასწავლო წელისათვის მზადება (მე-3 გვერდი).

მივცეთ სამშობლოს მეტი ლითონი. — **ს. ყანდარელი.** — არსებულ შესაძლებლობებს [illegible] (მე-3 გვერდი).

გ. წირღვავა. — ვინ მფარველობს [illegible] (მე-3 გვერდი).

ი. მაკარენკო. — ჩვენს მეგობრებთან (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება და მათი დანერგვა მშენებლობაში არადამაკმაყოფილებლად ვითარდება.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში საშუალებას იძლევა დაზოგილ იქნას ლითონი, ამცირებს ხეტყის მასალის ხარჯვას, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და მშენებლობის ტემპის დაჩქარებას.

მთელი რიგი სამინისტროების, აგრეთვე საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების მიზეზით ამჟამად ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება მშენებლობაში უაღრესად დაბალ დონეზეა. მაგალითად, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ 1953 წელს რკინაბეტონის კარკასის გამოყენებით ააშენა აგებული შენობების საერთო ფართობის მხოლოდ 8,5 პროცენტი. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ ააშენა საექსპლოატაციოდ გადაცემული შენობების თითქმის ფართობის მხოლოდ 16,5 პროცენტი. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ და მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ, რომლებსაც უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ ბეტონსარევი დანადგარები, ამწეები და მექანიზაციის სხვა საშუალებანი, ვერ გამოიყენეს თავიანთი შესაძლებლობანი მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ფართოდ დანერგვისათვის.

ბევრი სამინისტრო, არღვევს რა სახელმწიფო ინტერესებს ლითონის დაზოგვის დარგში, შენობებისა და ნაგებობათა მშენებლობის დროს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ნაცვლად იყენებს ლითონის კონსტრუქციებს, ხსნის რა ამას მშენებლობის ვადების შემცირების საჭიროებით, მაგრამ სინამდვილეში ვადების შემცირებას ვერ აღწევს.

მაგალითად, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ ქალაქებში კამიშინში, ენგელსსა და ბარნაულში ბამბეულის კომბინატების მშენებლობის დროს გამოიყენეს ლითონის კონსტრუქციები. მაგრამ ამ ობიექტების მშენებლობა მიმდინარეობს თავრობის მიერ დაწესებული ვადების დაგვიანებით.

სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ 1954 წელს დაიწყო 46 სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობა, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 1956-1957 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ნაგებობათა მშენებლობა წინათ ბუდამ ხორციელდებოდა რკინაბეტონით, სამკერვალო ფაბრიკების პროექტები შედგენილი იყო ლითონის კონსტრუქციების გამოყენებით. ამას ასაბუთებდნენ მშენებლობის დაჩქარებით საჭიროებით. რკინაბეტონის კონსტრუქციების ნაცვლად ლითონის კონსტრუქციების გამოყენებამ დამატებით მოითხოვა 6 ათასი ტონა ლითონი, მაგრამ ვერ დაჩქარა სამკერვალო ფაბრიკების მშენებლობა.

სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ და ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ 1952 წელს დაიწყეს ქარხანა „ფრეზერის“ საამქროს სამართლიანი შენობის აგება. შენობის პროექტი შედგენილი იყო ლითონის სვეტების, გადასახურის ზეწრისა და კოჭების გამოყენებით. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებთან შედარებით ამან გამოიწვია ლითონის გადახარჯვა. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება ლითონის იმავე ხარჯვისას შესაძლებელს გახდიდა აგებულიყო სამჯერ უფრო მეტი ფართობის შენობა.

მრავალი ორგანიზაცია, რომელიც საბინაო მშენებლობას ასრულებს, არღვევს ლითონის მომჭირნეობით ხარჯვის სავალდებულო წესებს. ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების ნაცვლად მეტწილ შემთხვევებში საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების გადასახურად იყენებენ ლითონის კოჭებს, სვეტებს, შესაკრავებს და სხვ. ასეთი დარღვევები დაშვებული იყო ქალაქ სტალინგრადის სასტუმროს ხუთსართულიანი შენობისა და ქალაქ ნოვგოროდის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას სართულთშორისი და სხვენის გადახურვა მეტწილ შემთხვევებში კეთდებოდა ხისა გადიდებული ტენიანობის მერქნის გამოყენებით, რაც იწვევს მის ლპობას და უნაყოფო ხარჯებს ხის კონსტრუქციების შეკეთებასა და შეცვლაზე.

სასოფლო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვა აგრეთვე ძალიან ნელა ხდება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1952 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით უფლება მისცა მოსკოვის საოლქო აღმასკომს მოეწყო 1953 წელს კოლმეურნეობებში 10 ათასი სული პირუტყვისათვის მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობა ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების გამოყენებით. მოსკოვის საოლქო აღმასკომმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1953 წელს მოსკოვის ოლქში ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების გამოყენებით ააშენეს მხოლოდ ერთი საძროხე 200 სულისათვის. სამრეწველო, საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების მეტად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, აგრეთვე ლითონისა და ხის არასწორი გამოყენება აიხსნება არა ტექნიკური ჩამორჩენილობით, არამედ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ინერტულობითა და უძრაობით.

ამჟამად საპროექტო ორგანიზაციებს თავიანთ შემადგენლობაში ჰყავთ ინჟინერ-კონსტრუქტორთა საკმაოდ კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული არიან რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშებისა და დაპროექტების სრულყოფილ მეთოდებს, მაგრამ შენობათა და ნაგებობათა პროექტებში იყენებენ მოძველებულ ტექნიკურ გადაწყვეტას ლითონისა და ხის გამოყენებით. მაგალითად, სსრ კავშირის სშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცემენტის მრეწველობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა ცემენტის ქარხნების ტიპურ პროექტში გამოიყენა ლითონის კონსტრუქციები არა მარტო მთავარ კორპუსში, არამედ აგრეთვე დამხმარე ხასიათის შენობებში, რომლებსაც მცირე ძალები აქვს.

საპროექტო ორგანიზაციები მეტად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების ტიპიზაციისა და უნიფიკაციისათვის, რაც ამცირებს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების საქარხნო წარმოებას. მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ინსტიტუტმა „ქალაქმშენპროექტმა“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ დაამთავრა ასაწყობი ტიპური რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და შენობათა დეტალების კატალოგის შედგენა.

მოსკოვის საქალაქო აღმასკომის არქიტექტურულ-მგეგმავ სამმართველოში და მოსკოვის სხვა საპროექტო ორგანიზაციებში ტიპიზაციის დარგში არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად მოსკოვში დღემდე არ არის ტიპური ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების კატალოგი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა გამოსაყენებლად.

საპროექტო ორგანიზაციებს არ შეუქმნიათ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით იმ სამრეწველო შენობების ტიპური პროექტები, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა სხვადასხვა საწარმოო დანიშნულების საამქროებად.

უკანასკნელ წლებში რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების, კონსტრუირებისა და დამზადების ტექნიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც საშუალებას იძლევა ლითონისა და ცემენტის ხარჯვის შემცირებისას შეიქმნას თხელკედლიანი კონსტრუქციები, რომლებსაც დიდი სიმკვიდრე აქვთ. წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის, აგრეთვე დიდი სიმკვიდრის ბეტონის გამოყენება და ეფექტიანი კვეთის კონსტრუქციებზე გადასვლა შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შემცირდეს ლითონისა და ცემენტის ხარჯვა და 20-30 პროცენტით შემცირდეს კონსტრუქციის წონა.

მიუხედავად ამისა, ამჟამად დამზადებული ასაწყობი დეტალები, მასალების ხარჯვის მხრივ, ცოტათი განსხვავდებიან იმ კონსტრუქციებისაგან, რომლებსაც წინათ მონოლითური ბეტონით ასრულებდნენ. დაძაბული არმირება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ლითონის ხარჯს, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გავრცელებულა დიდი სიმკვიდრის მავთულის ნაკლებობის გამო. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო ძალიან ნელა ავითარებს დიდი სიმკვიდრის ფოლადის მავთულისა და 2,5-5 მილიმეტრი დიამეტრის ნაკლებნახშირბადიანი მავთულის წარმოებასა და ახალ სახეობათა ნაკლებლეგირებული, განსაკუთრებით მცირე დიამეტრების საარმატურო ფოლადის წარმოებას, რომელთა გამოყენება რკინაბეტონში შესაძლებელს ხდის შემცირდეს ელემენტების კვეთის ზომები და დაიზოგოს ლითონი და ბეტონი.

სამშენებლო ინდუსტრიისა და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკები არ ითვალისწინებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც იძლევა დიდი სიმკვიდრის მავთულის, მაღალი მარკების ცემენტის და მცირე ფრაქციების შემვსებთა გამოყენება.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების სუსტი განვითარება აგრეთვე იმის შედეგია, რომ სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და იმ სამინისტროებს, რომლებიც მშენებლობას ეწევიან, დღემდე მთლიანად არ შეუსრულებიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 26 იანვრის დადგენილება არადადნეული საშენი მასალების მოპოვების და რკინაბეტონის დეტალებისა და კონსტრუქციების წარმოების განვითარების შესახებ და სისტემატიურად არ ასრულებენ რკინაბეტონის ნაკეთობათა ახალი ქარხნების მშენებლობის გეგმებს.

მეტად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების პოლიგონურ ხერხს, რომელიც შეიძლება მოეწყოს სამშენებლო მოედნების პირობებში. ტრესტ „კრივორიჟსტროის“ მუშაობის გამოცდილება, რომელმაც 1953 წელს პოლიგონურ პირობებში დაამზადა დაახლოებით 40 ათასი კვადრატული მეტრი დიდი ზომის გადასახურავი ფილები, ტრესტ „ზაპოროჟსტროის“ გამოცდილება, რომელმაც ასეთივე ხერხით დაამზადა 55 ათასი კვადრატული მეტრი ფილები, აგრეთვე ტრესტ „ცენტროსტანკოსტროის“ მუშაობა ადასტურებს სამშენებლო მოედნების პოლიგონებზე რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების ეკონომიურ მიზანშეწონილობას და ეფექტიანობას. მიუხედავად ამისა, პროპაგანდას არ უწევენ და არ ავრცელებენ პოლიგონებზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების არსებულ გამოცდილებას.

დღემდე მკვეთრად ჩამორჩენილია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დიდი სიმკვიდრის ბეტონების და სამრეწველო შენობებისათვის ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტის, აგრეთვე ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების გადაწყვეტის დარგში.

ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების განვითარებაში სერიოზული დაბრკოლებაა ინერტული მასალების კარიერების მეტად არასაკმარისი სიმძლავრე და სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგართა მშენებლობის ჩამორჩენა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საკმაოდ არ მუშაობდა მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების დანერგვად.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარებაში და საბინაო, სამრეწველო და სასოფლო მშენებლობაში მათი გამოყენების საქმეში არსებული შეუწყნარებელი ჩამორჩენის აღკვეთის მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დადგინეს:

1. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს გაადიდონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება, რისთვისაც გააფართოონ არსებული და აამენონ ახალი საწარმოები.

უზრუნველყონ საწარმოებში რკინაბეტონის ფილების, კოჭების, სვეტების, სახურავებისა და გადასახურების პანელის, კედლის პანელის, აშშის კოჭების, საძირკვლის ფილების, კიბის მარშებისა და ბაქნების, ფერმის ელემენტების, ხიდის მალის ნაგებობათა, გვირაბთა ტუბინგების, ქვანახშირის გამონამუშევართა სამაგრების, მილებისა და ხიმინჯების და სხვა რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება.

სამინისტროებმა და უწყებებმა 1955 და 1956 წლებში ააგონ 402 ქარხანა და 200 პოლიგონის ტიპის მოედანი, რომლებიც 1955 წელს გამოუშვებენ 2.844 ათას კუბურ მეტრ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს და 1956 წელს 4.855 ათას კუბურ მეტრს, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრებელი, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შენობების აგებას შემდეგი საერთო ფართობით:

წლები	საბინაო მშენებლობა (ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი)	სამრეწველო მშენებლობა (შენობათა ათასი კვ. მეტრი ფართობი)	სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა (შენობათა ათასი კვ. მეტრი ფართობი)
1955 წ.	5.300	2.817	3.230
1956 წ.	9.270	3.767	5.170
სულ 1955-1956 წლებში	14.570	6,584	8.400

გარდა ამისა, დაწესდეს, დაევალოს, რომ 1955 და 1956 წლებში აშენდეს საწარმოები, რომლებიც გამოუშვებენ ხიდების ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს 15,4 ათას გრძივ მეტრს და ასაწყობ რკინაბეტონის მილებს 3 მილიონ გრძივ მეტრზე მეტს.

2. გადიდდეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება ქარხნებში და პოლიგონებზე, დაწესდეს ნაკეთობის გამოშვება შემდეგი მოცულობით:

(მილიონი კუბური მეტრი)

1954 წ.	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.
1.860	3.515	6.085	9.790

3. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს გამოიყენონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები საბინაო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის დაპროექტებისა და განხორციელების დროს:

სამრეწველო მშენებლობაში — სვეტები, კოჭები (ზეწრები), ფერმის ელემენტები, სახურავის, გადასახურისა და კედლის პანელები, სახურავის არმირებული ფილები უჯრედოვანი ბეტონისაგან, აშშის კოჭები, საძირკველი, ფანჯრის სიოს სახედები და ჩარჩოები;

სატრანსპორტო მშენებლობაში ხიდის ასაწყობი რკინაბეტონის სამალე ნაგებობანი, სამგზავრო და სატვირთო პლატფორმები და საკონტაქტო ქსელის საყრდენები;

საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში — ასაწყობი რკინაბეტონის სვეტები, ზეწრები, გადასახურის მრავალფრუნაანი და მრავალწიბოვანი პანელები და გადასახურის მთლიანი ნაფენები მსუბუქი და უჯრედოვანი ბეტონისაგან, კედლების და ტიხრების პანელი, კიბის მარში და ბაქანი, ზღუდარები, ფანჯრის რაფის ფილები და საძირკვლები;

სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში — სვეტები, კოჭები და ფილები ბტს-ების სახელოსნოებისა და გარაჟებისათვის და მეცხოველეობის შენობებისათვის, რკინაბეტონის სთბუერების, კვალსათბურებისა და სასილოსე ნაგებობათა დეტალები;

სამახტო მშენებლობაში — რკინაბეტონის ბიგები და სხვა სამაგრი ელემენტები;

გარდა ამისა, გამოყენებულ უნდა იქნას საწნეო და უსაწნეო რკინაბეტონისა და ბეტონის მილები, ანძები, ბოძები ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის ხაზებისათვის, ხიმინჯები და სხვ.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება განხორციელდეს კონსტრუქციებისა და დეტალების დამტკიცებული კატალოგებისა და ნორმალების და მოქმედი საერთო საკავშირო სახელმწიფო სტანდარტების ზუსტი შესაბამისობით.

დაინერგოს წარმოებაში მტკიცე, მაგარი ბეტონისაგან დამზადებული და მაღალი სიმტკიცის მავთულით არმირებული ეფექტიანი თხელკედლიანი და ღრუ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები.

4. სამრეწველო შენებლობაში ლითონის ეკონომიის მიზნით დაევალოს სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ორგანიზაციებს შენობებისა და ნაგებობათა პროექტების შედგენის დროს ფართოდ დანერგონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები და არ დაუშვან ლითონის კონსტრუქციების გამოყენება ყველა შემთხვევაში, როცა იგი შეიძლება შეიცვალოს რკინაბეტონის, უპირატესად ასაწყობი კონსტრუქციებით.

აიკრძალოს ლითონის კონსტრუქციების გამოყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგის შენობებისა და ნაგებობათათვის იმ ვადებში, რომლებიც დამტკიცებულია შენობებისა და ნაგებობათა ცალკე სიით.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ორი თვის ვადაში ამ დადგენილებას შეუფარდოს „მშენებლობაში ლითონის, ცემენტისა და ხეტყის მომჭირნეობით ხარჯვის ტექნიკური წესები“ და გამოსცეს იგი მასობრივი ტირაჟით.

5. საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების კაპიტალურობის გადიდების, ამ შენობათა მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების გზით ნაგლინი ლითონისა და ხეტყის ხარჯვის შემცირების მიზნით:

ა) აიკრძალოს 1955 წლიდან ახლად დასაწყები საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს ლითონის კარკასის, აგრეთვე სართულთაშორისი და სხვენის გადასახურზე ლითონის კოჭების, ზეწრებისა და ზღუდარების გამოყენება.

ბ) აიკრძალოს 1955 წლიდან ახლად დასაწყები ექვს და მეტ სართულიანი საცხოვრებელი სახლებისა და ოთხ და მეტსართულიანი კულტურულ-საყოფაცხოვრენო შენობების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს ხის გადასახურის გამოყენება;

ვ) აიკრძალოს 1957 წლიდან ხის გადასახურების გამოყენება 4 სართულისა და მეტი სიმაღლის საცხოვრებელი შენობების და 3 სართულისა და მეტი სიმაღლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, 2 სართულის სიმაღლის საბავშვო დაწესებულებათა შენობების დაპროექტებისა და მშენებლობისას. აღნიშნულ შენობათა გადასახურებად ხეტყის მასალის გამოყენება დაშვებულ იქნას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იმ რაიონებში, სადაც ხეტყე ადგილობრივი საშენი მასალაა.

6. დაევალოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების საწარმოთა ტიპური პროექტები.

მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების საწარმოთა ტიპური პროექტები.

დაწესდეს, რომ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების საწარმოები, რომელთა მშენებლობა 1955 წელს დაიწყება, უნდა აიგოს ტიპური პროექტებით და ეკონომიური პროექტებით, რომლებიც განმეორებით გამოყენებისათვის რეკომენდებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა საბელმწიფო კომიტეტის მიერ.

7. სამინისტროებმა და უწყებებმა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოთა მშენებლობის მოედნების არჩევისას იხელმძღვანელონ მთავრობის მითითებით იმის შესახებ, რომ მრეწველობა დაუახლოვდეს ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს, აგრეთვე შემცირდეს არარაციონალური და მეტისმეტად შორეული ტვირთზიდვა.

8. აიკრძალოს ლითონის კონსტრუქციების გამოყენება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების შენობათა კარკასებისათვის, გათვალისწინებულ იქნას მათი შესრულება, როგორც წესი, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით, რისთვისაც ამ ქარხნების მშენებლობასთან მოეწყოს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების პოლიგონური წარმოება.

9. დაევალოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ და არაუგვიანეს 1954 წლის დეკემბრისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წარუდგინოს სამრეწველო მშენებლობისათვის უნიფიცირებული ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ნომენკლატურა და ტიპური ზომები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს და დაამტკიცოს არაუგვიანეს 1955 წლის თებერვლისა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების აღნიშნული ნომენკლატურა და ტიპური ზომები.

10. საჭიროდ იქნას მიჩნეული მშენებლობის პრაქტიკაში ახალი ტიპების უნივერსალური სამრეწველო ერთსართულიანი და მრავალსართულიანი შენობების დანერგვა, რომლებიც გამოსაყენებლად ვარგისი იქნება მრეწველობის სხვადასხვა დარგში, რისთვისაც დაევალოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს:

ა) შეიმუშაოს 1954 წელს პროექტები სამი ტიპური ერთსართულიანი საწარმოო შენობისა 18 და 24 მეტრი ბალებით, სვეტების 6 მეტრი ნაბიჯით, უნიფიცირებული სიმაღლეებითა და დატვირთვებით, შენობებისა, რომლებსაც ექნება 5-30 ტონა ტვირთამწეობის ხიდურა ამწეები, 10-16 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით, ამასთან დაშვებულ იქნეს ლითონის ნიგნივის ფერმების გამოყენება მხოლოდ 15 მეტრზე მეტი ძალებისათვის;

ბ) შეიმუშაოს სასურსათო საქონლის, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის, რადიოტექნიკური და ელექტროტექნიკური მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მრეწველობის საწარმოებისა და სხვა საწარმოებისათვის ტიპური პროექტები ორსექციიანი ოთხსართულიანი და სამსექციიანი ხუთსართულიანი საწარმოო შენობებისა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით, რომლებსაც ექნებათ სვეტების ქსელი 6×6 მეტრი, სიგანე 36 მეტრი, უნიფიცირებული სიმაღლეები და დატვირთვები ისე, რომ ერთ შენობაში განლაგდეს საწარმოო და დამხმარე საამქროები, აგრეთვე საწყობები და კანტორის შენობები შემდეგ ვადებში:

საპროექტო დავალება 1954 წლის ოქტომბერში,

მუშა ნახაზები 1955 წლის პირველ კვარტალში,

სანიტარულ-ტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოების მუშა ნახაზები—1955 წლის მეორე კვარტალში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცოს ერთსართულიანი და მრავალსართულიანი საწარმოო შენობების აღნიშნული ტიპური პროექტები მშენებლობაში გამოსაყენებლად.

11. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარ სამმართველოს წარუდგინონ შესათანხმებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ასაწყობი რკინაბეტონის მარცვალსაწყობების ტიპური პროექტები არაუგვიანეს 1954 წლის 1 სექტემბრისა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში შეათანხმოს ასაწყობი რკინაბეტონის მარცვალსაწყობების ტიპური პროექტები და გამოსცეს ისინი 1955 წლის 1 მარტისათვის.

12. დაევალოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს არაუგვიანეს 1955 წლის II კვარტალისა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, ელექტროსადგურების სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის მონაწილეობით შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს წარუდგინოს მოთითებანი საბინაო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენების შესახებ, ამასთან გათვალისწინოს ფოლადისა და ხის კონსტრუქციებისა და დეტალების ნაცვლად ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების სფეროს გაფართოება და 6-სართულიანი და უფრო მაღალი საბინაო და სამოქალაქო შენობებისათვის ყორექვის საძირკველების მოწყობის შეზღუდვა, იქონიოს რა მხედველობაში მათი მოწყობა ასაწყობი ბეტონითა და რკინაბეტონით.

13. რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამუშავების დაჩქარების მიზნით გაუდიდდეთ 1954 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა:

ა) სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 185 მილიონი მანეთით;

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ

(დასასრული)

ბ) სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს 69,8 მილიონი მანეთით;

გ) მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს 40,2 მილიონი მანეთით;

დ) გადიდდეს 1954 წლისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მიცულობა სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით ასაწყობ რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებისათვის მოწყობილობის ქარხნების გასაფართოებლად 35 მილიონი მანეთით.

14. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ქიმიადისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, გზათა სამინისტროს, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, ელექტროსადგურების სამინისტროს. სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და ხიდების მშენებლობის მთავარ სამმართველოს 1955-1956 წლებში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოთა სიმძლავრეების ამუშავების დარგში ამ დადგენილებით დაწესებულ დავალებათა შესრულების მიზნით გამოჰყონ კაპიტალდასაბანდებანი ასაწყობი რკინაბეტონის მრეწველობის განვითარებისათვის 1955 წელს — 1 მილიარდი 725 მილიონი მანეთი და 1956 წელს 2 მილიარდი 160 მილიონი მანეთი.

15. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების საექსპლოატაციოდ დროზე გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) დაეკისროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადოს და დააკომპლექტოს ტექნოლოგიური მოწყობილობა წელიწადში 120, 60, 30 და 15 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნებისა, წელიწადში 60 და 30 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის რკინაბეტონის მილების ქარხნებისა, წელიწადში 30 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის არქიტექტურული დეტალების ქარხნებისა და წელიწადში 120, 60, 30 და 15 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის უჯრედოვანი ბეტონის ქარხნებისა და ამ ქარხნების მოწყობილობის მონტაჟი.

ბ) სავალდებულოდ იქნას მიჩნეული გემთმშენებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, ჩარხმშენებელ და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა მონაწილეობა ქარხნებისა და პოლიგონებისათვის ტექნოლოგიური მოწყობილობის დაპროექტებასა და დამზადებაში.

გ) სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ორი კვირის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და ასევე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი იმ დავალებათა შესახებ, რომლებიც მიეცათ „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ სამინისტროებს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ქარხნების დასაკომპლექტებელი ტექნოლოგიური მოწყობილობის დასაპროექტებლად და დასამზადებლად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში განიხილოს ეს წინადადებანი დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად და თავისი დასკვნა წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

დ) დაწესდეს, რომ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების და უჯრედოვანი ბეტონის ქარხნების, საამქროების, აგრეთვე პოლიგონების დანადგართა, რომლებიც ჩამოთვლილი არ არის მე-18 მუხლის „ა“ პუნქტში, მოწყობილობის დაკომპლექტებას და დამონტაჟებას აწარმოებენ იმ სამინისტროები, რომელთა გაგებლობაშიც არის ეს ქარხნები და დანადგარები.

16. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს სამინისტროებისათვის ფონდების გამოყოფა, ხოლო სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ ასაწყობი რკინაბეტონის წარმოებისათვის მიაწოდოს ქარხნებსა და პოლიგონებს 1955 წელს 2,5-5 მილიმეტრი დიამეტრის, 180 კვადრატულ მილიმეტრამდე ზღვრული სიმაგრის 20 ათასი ტონა ფოლადის მავთული და 6727-53 საერთო საკავშირო სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით ნაკლებნახშირბადიანი ფოლადის მავთული — 50 ათასი ტონა. ხოლო 1956 წელს შესაბამისად 30 და 120 ათასი ტონა.

17. დაევალოს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ორი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირებისათვის ნაკლებლეგირებული ფოლადის ანლ-1-ისაგან 5, 7, 8 და 9 მილიმეტრი დიამეტრის პერიოდული პროფილის შხვილი მავთულის წარმოების მოწყობის შესახებ.

18. დაევალოს სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს 1954 წელს დამატებით შეასრულოს:

ა) სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის 49,1 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მათ შორის რკინაბეტონის ნაკეთობის ქარხნების მშენებლობის ხაზით: მოსკოვის ოლქის ქალაქ კლინში — 2,7 მილიონი მანეთისა; ქალაქ კიევში — 4,5 მილიონი მანეთისა; ქალაქ ლენინგრადში — 3,6 მილიონი მანეთისა; მოსკოვის ოლქის სოფელ ვიაზოვკის რკინაბეტონის არქიტექტურული დეტალების ქარხნის მშენებლობის ხაზით — 3,6 მილიონი მანეთისა; რკინაბეტონის მილების ქარხნების მშენებლობის ხაზით — მოსკოვის ოლქის ქალაქ სერპუხოვში — 2,7 მილიონი მანეთისა; ქალაქ მოსკოვში (ფილი) — 3,0 მილიონი მანეთისა; მოსკოვის ოლქის სოფელ ვიაზოვკის ქაფსილიკატის ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობის ხაზით — 9,5 მილიონი მანეთისა; რკინაბეტონის დასაგები ფილების გამოსაშვები დანადგარის მშენებლობის ხაზით ქალაქ ხარკოვში — 5,0 მილიონი მანეთისა; ქალაქ დონის როსტოვში — 5,0 მილიონი მანეთისა; ქალაქ კრასნოდარში — 5,0 მილიონი მანეთისა; ქალაქ მოსკოვში — 5,0 მილიონი მანეთისა;

ბ) სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროსათვის 14,5 მილიონი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მათ შორის ქალაქ ჩელიაბინსკის ქარხანა „სტრომმაშინის“ მშენებლობის ხაზით — 2,5 მილიონი მანეთისა; ქალაქ ხარკოვის ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ — 2 მილიონი მანეთისა; ქალაქ კოსტრომის ქარხანა „სტრომმაშინის“ — 5 მილიონი მანეთისა; ივანოვოს ოლქის ქალაქ კოხმის ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოებისათვის მოწყობილობის დამამზადებელი ქარხანა — 3 მილიონი მანეთისა და ქალაქ დონის როსტოვის ქარხანა „სტრომმაშინის“ — 2 მილიონი მანეთისა.

19. დაევალოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს 1954 წელს შეასრულოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის 13,8 მილიონი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მათ შორის მოსკოვის ოლქის ქალაქ კოლომნაში რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობის ხაზით — 3,8 მილიონი მანეთისა და ქალაქებში კრიეოი როგსა და ზაპოროჟიეში რკინაბეტონის დასაგები ფილების გამომშვებ დანადგართა მშენებლობის ხაზით — თვითეულში 5,0 მილიონი მანეთისა იმ ობიექტების ხარჯზე, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არის ტექნიკური დოკუმენტაციით.

20. იმ მიზნით, რომ პროპაგანდა გაეწიოს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებით მშენებლობის მოწინავე მეთოდებს და ამაღლდეს მშენებლობათა საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია, 1955 წელს მოაწყონ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების ინდუსტრიული მეთოდებით საცდელ-საჩვენებელი მშენებლობა დიდი ზომის ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებით: მოსკოვის მშენებლობის მთავარმა სამმართველომ — საცხოვრებელი სახლის, სკოლისა და საავადმყოფოსი ქალაქ მოსკოვში; სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ სამრეწველო შენობისა კონცენტრირებული სამრეწველო მშენებლობის ერთ-ერთ რაიონში; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — მტს-ების შენობათა კომპლექსისა უკრაინის სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

აღნიშნულ საცდელ-საჩვენებელ მშენებლობებზე მუშაობის ჩვენება მოეწყოს ყველა სამინისტროს და უწყების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1955 წელს დაამზადოს სრულმეტრაჟიანი პოპულარული ტექნიკური კინოფილმი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ფართოდ გამოყენების შესახებ ინდუსტრიული სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამინაო მშენებლობაში.

21. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს:

ა) განიზოგადოს ასაწყობი რკინაბეტონის წარმოებისა და გამოყენების მოწინავე გამოცდილება და მშენებლობაში კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინოს ახალი ტიპის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ათვისების დავალებანი და სისტემატურად გაიშუქოს პერიოდულ პრესაში მიღწეული ასაწყობი რკინაბეტონის წარმოებისა და გამოყენების დარგში;

ბ) გააძლიეროს მუშაობა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციისათვის და სტანდარტიზაციის წლიურ გეგმებში გაითვალისწინოს საქარხნო წარმოების ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების საერთო საკავშირო სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება.

გ) მოეწყოს 1955 წლის დამდეგს მშენებელთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად სრულიად საკავშირო კონფერენცია რკინაბეტონისა და ბეტონის საკითხებზე.

22. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ორი თვის ვადაში შეამუშაონ და დააწესონ მაჩვენებლები ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების დაგეგმვისა და მშენებლობაში მათი გამოყენების აღრიცხვისათვის.

23. დაევალოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს:

ა) მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშაოს და 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული პროექტი ასაწყობ რკინაბეტონის ნაკეთობათა საბითუმო ფასების პრეისკურანტისა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გასაშვები ფასების მნიშვნელოვანი შემცირება მოწინავე საწარმოებში მათი თვითღირებულების დონის მიხედვით.

ბ) განაზორციელოს საჭირო კვლევა საწარმოო პირობებში სწრაფმყარებადი ცემენტის მასალებად, რომლის გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების პროცესების ხანგრძლივობას, და 1955 წლის 1 აპრილისათვის წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მისი წარმოების მოწყობის შესახებ.

გ) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს კონსტრუქციები, დაამზადოს და გამოსცადოს ფანჯრის რკინაბეტონის ჩარჩოები, სასოფლო-სამეურნეო შენობათა სახურავის გვირდობის არმირებული რკინაბეტონის ნაკუჭები, ასაწყობი რკინაბეტონის მოაჯირები და ღობეები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების მოწყობის შესახებ.

24. დაევალოს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი ასაწყობი რკინაბეტონის დამამზადებელ იმ საწარმოო და დამხმარე საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ, რომლებიც სამინისტროს უწყებაში შედიან და მხედველობაში მიიღონ მათი სპეციალიზაცია.

25. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უფლება მიეცეს მოაწყოს 1954 წელს კონსტრუქტორთა ბიური რკინაბეტონის სრულიად საკავშირო სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტთან ყველაზე რაციონალური რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე სამარჯვების, აღჭურვილობისა და ფორმების შესამუშავებლად, რომლებიც საჭიროა ასაწყობი რკინაბეტონის დასამზადებლად. აღნიშნული კონსტრუქტორთა ბიუროს მოწყობა განხორციელდეს მთლიანად სამინისტროს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დადგენილია 1954 წლისათვის.

26. დაევალოს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი ასაწყობი რკინაბეტონის სამაგრების წარმოების განვითარებისა და ფართოდ გამოყენების შესახებ.

27. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება და მოახსენოს მისი შესრულების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ერნსტ ტელმანის ხსოვნის აღსანიშნავად

18 აგვისტოს შესრულდა 10 წელი მას შემდეგ, რაც ჰიტლერელებმა ავანტიურად მოკლეს გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, გერმანიის მუშათა კლასის ბელადი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ერნსტ ტელმანი.

უცხოეთის ლიტერატურის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცი მებრძოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი მასალა ტელმანის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ — წიგნები, ჟურნალები, სტატიები, ფოტოსურათები. დიდ ინტერესს იწვევს ტელმანის სტატიებისა და სიტყვების კრებული, რომელიც 1950 წელს გამოიცა ბერლინში.

გამოფენის ერთ-ერთ განყოფილებაში შეგროვებულია ლიტერატურა ტელმანის შესახებ. აქ არის ვილი ბრედელის წიგნი „ერნსტ ტელმანი“ გერმანულ, რუსულ, ჩეხურ, პოლონურ, შვედურ და სხვა ენებზე. ტელმანის ქალიშვილის მოგონებათა ბერლინის გამოცემა, გერმანელ პოეტთა ლექსები, მიძღვნილი გერმანიის მუშათა კლასის ბელადისადმი. (საკდესი).

საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა სამუშაოდ მიდის ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში

ქუთაისი, 19 აგვისტო. (საქდესი). ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში საშუალო სკოლადამთავრებული ბევრი ახალგაზრდა მუშაობს.

150 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებას ახალგაზრდა მუშა ე. კუბლაშვილი. იგი მე-8 კლასის მოსწავლე იყო, როდესაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან პირველი სატვირთო ავტომანქანა გადმოვიდა. კუბლაშვილმა გადაწყვიტა დაუფლებოდა ავტომობილის მშენებლის პროფესიას. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო მთავარი კონვეიერის ერთ-ერთ უბანზე. მოკლე ხანში იგი დაეუფლა ამწყობ-ზეინკლის პროფესიას. პრაქტიკულ ცოდნას კუბლაშვილი თეორიით ამდიდრებს. ახლახან მან გამოცდები ჩააბარა ავტომექანიკური ტექნიკუმის მესამე კურსზე.

მხოლოდ ორი თვის წინ დაიწყო მუშაობა ქარხანაში საშუალო სკოლადამთავრებულმა ი. ჩუბინიძემ. საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნა დაეხმარა მას მოკლე დროში დაუფლებოდა მღარავის პროფესიას. მან ივლისისა და აგვისტოს პირველი ნახევრის დავალება 130 პროცენტით შეასრულა და ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის დავალება პირველი დეკემბრისათვის შეასრულოს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ აქ სამუშაოდ აგრეთვე დ. გეგუჩაძე და მ. გენძეხაძე. ისინი ერთად სწავლობდნენ სკოლაში და ამჟამად ერთად მუშაობენ საავტომობილო ქარხნის შასის საამქროში.

დაუვიწყარი შეხვედრები გამოფენაზე

გამოფენაზე ყოველდღიურად ათასობით მოდიან 16 მომქმე საბჭოთა რესპუბლიკის წარმომგზავნილები. ბევრია უცხოელი სტუმრებიც. აი დღესაც როგორც სხვა პავილიონებში, ისე საქართველოს სსრ პავილიონშიც იყო დელეგაციები ინდონეზიიდან. აქ ჩვენ შეეხვდით მეგობრებს მოსკოვის ოლქის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან მისი თავმჯდომარის ამხ. პუზანჩიკოვის მეთაურობით. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს პავილიონი.

საქართველოს პავილიონი ინტერესით დაათვალიერეს აგრეთვე გამოფენის მონაწილეებმა და ექსკურსანტებმა გომელი, ლენინგრადის, კიევის ოლქებიდან, ლატვიის, ბელორუსიის სს რესპუბლიკებიდან. ყოველდღე რამდენიმე ათასი ადამიანი ათვალიერებს ჩვენს პავილიონში წარმოდგენილ ექსპონატებს.

აი სტუმართა ჯგუფი კითხულობს დიდი ასოებით დაწერილ წარწერას — „საქართველო მაღალხარისხოვანი მეხილეობის რესპუბლიკაა!“ ამ წარწერის ქვეშ მოწყობილია გორის რაიონის სოფელ ფლვის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ სტენდი. მნახველები იღებენ ბლოკნოტებს, რვეულებს და იწერენ მათთვის საინტერესო ცნობებს, მაგალითად, რომ გაწლისა და მსხლის მოსავალმა 42 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შეადგინა 107,8 ცენტნერი, რამაც კოლმეურნეობას მისცა ჰექტარზე 14,4 ათასი მანეთი შემოსავალი. სტუმრები იწერენ ქართველ კოლმეურნეთა გამოცდილებას ხეხილის მოვლაში. სტენდის ქვეშ დაყრილი და ვაზაში ჩაწყობილია აუარებელი ვაშლი და მსხალი, აქვეა ვაშლის, ქლიავის ჩირი, სიროპები.

ყოველ წუთში ისმის მნახველთა აღფრთოვანებული სიტყვები: „რა საინტერესოა!“, „რა კარგია!“, „შესანიშნავია!“. ისინი ექსკურსიამძღოლებს მრავალ შეკითხვას აძლევენ. ზოგჯერ ამ შეკითხვებზე უპასუხებენ თვით სტუმრები, რომლებიც ნამყოფი არიან საქართველოში.

თავიანთი რესპუბლიკის პავილიონთან ქართველი კოლმეურნეები მახარაძის რაიონიდან შეხვდნენ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონიდან ჩამოსულ კოლმეურნეებს. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ორი ხალხის წარმომადგენელთა გულთბილი, ძმური, დაუვიწყარი შეხვედრა. მათ ხომ დიდიხანია აკავშირებთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეები იწვევენ თავიანთ უკრაინელ ძმებს პავილიონის დარბაზებში, სადაც წარმოდგენილია მთელი ის სიმდიდრე, რასაც საქართველოს მიწა იძლევა.

ბევრი დელეგაცია ჩამოდა საქართველოდანაც. გამოფენა დაათვალიერეს ქუთაისის, მახარაძის, გურჯაანის, წითელწყაროს, ზუგდიდის და ბევრი სხვა რაიონის წარმოგზავნილებმა. ისინი სხვა დელეგაციებთან ერთად დიდი ინტერესით ათვალიერებენ ყველა პავილიონს, თავიანთ ბლოკნოტებში იწერენ მათთვის საინტერესო გამოცდილებას, მონწოლობს იღებენ საუბრებს.

ბევრი რამ საინტერესო ნახეს ჩვენებმა მოსკოვის ოლქის [illegible] ოლქის, [illegible] ქვეყნებიდან. [illegible] ბევრ [illegible] ლუბოვიცის რაიონის სტალინის სახელობის განთქმული კოლმეურნეობა, რომელსაც უკვე მრავალი წელია ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი ფ. გენერალოვი. კოლმეურნეობას ჰყავს 353 ძროხა. თვითეულ მათგანზე შარშან კოლმეურნეობამ მიიღო 4.400 კილოგრამი რძე. უხტომსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ცნობილია ბოსტნეულის დიდი მოსავლით. აქ ჰექტარზე იღებენ 300 ცენტნერ ბოსტნეულს, 200 ცენტნერზე მეტ კარტოფილს. შარშან კოლმეურნეობის შემოსავალმა 3½ მილიონ მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობა „ჰამიატ ილიჩ“ მარტო ყვავილების მოყვანით წელიწადში მილიონ მანეთზე მეტს იღებს.

უამრავი ხალხი ათვალიერებს პავილიონს „შაქრის ჭარხალი“, სადაც ნაჩვენებია ჩვენი საბჭოთა აგროტექნიკა შაქრის ჭარხლის დარგში, უკრაინის, უკრაინის, კურსკის ოლქის და სხვათა გამოცდილება ჭარხლის მოყვანის საქმეში.

ქართველი კოლმეურნეები ესწრებიან საინტერესო ლექციებს, საუბრებს, რომლებსაც ბართავენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების მოღვაწენი. მაგალითად, საინტერესო იყო საუბარი მოგილიოვის ოლქის კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის კ. ორლოვსკისა, რომელმაც ილაპარაკა მრავალდარგიანი მეურნეობის წარმოების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის ს. ზაფრენის ლექცია დასლოსლობის თაობაზე და პრაქტიკის შესახებ, რსფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილის ი. გოლუბაშის საუბარი მოსკოვის ოლქის უძველესი საბჭოთა მეურნეობის „ლენინი პოლიანის“ შესახებ.

* * *

საღამოს 9 საათისათვის პავილიონები იხურება. ნახევარი საათის შემდეგ მუშაობას ამთავრებენ სავაჭროები. სტუმრები მიდიან დასასვენებლად. გამოფენაზე მცირე ხნით საწყნარე მყარდება. მაგრამ დილის 8 საათიდან კვლავ გამოცოცხლდება ეს საუცხოო ქალაქი-ბაღი. აქ მოვლენ ახალი სტუმრები, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოსულნი, მოსკოველები. უცხოელები. ისინიც ასევე მიიღებენ წარუშლელ შთაბეჭდილებას გამოფენაზე — ჩვენი დროის ამ შესანიშნავ ქმნილებაზე, სადაც ასახულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევები.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.
მოსკოვი. აგვისტო.

ხელიდან უშვებენ საკვების დამზადების საუკეთესო დროს

ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი დარგი საზოგადოებრივი მეცხოველეობაა. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მზრუნველობით უვლიან საზოგადოებრივ პირუტყვს, დიდ შემოსავალს იღებენ, შრომადღეებზე მნიშვნელოვანი რაოდენობით ანაწილებენ მეცხოველეობის პროდუქტებს.

ბაკურიანის საბჭოთა საქართველოს ათი წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ბუძიშვილი) კარგად უვლიან პირუტყვს. იგი უზრუნველყოფილია საუფთა, ნათელი ბინებით და საკვებით. ამიტომ აქ ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება პირუტყვის წველადობის გეგმები. სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის. კოლმეურნეობამ 420 ჰექტარიდან 200 ჰექტარზე უკვე გათიბა ბუნებრივი ბალახი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს თივის შეგროვება და ფერმებთან მიზიდვა. დროულად მოამზადეს სასილოსე ორმოებიც. უკვე დასილოსებულია 300 ტონა ნედლი ბალახ ».

თივის აღებისა და დასილოსების საქმეში ტემპი გაძლიერდა სოფელ ჭობისხევის, ახალდაბის, ქვაბისხევის და ტბის კოლმეურნეობებშიც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ პირუტყვისათვის მჭიდეი საკვები ბაზის შექმნაში. არ ჩქარობენ თივის აღებასა და დასილოსებას, მაშინ როცა ბევრ ადგილას თივა გადამწიფებულია და უმოკლეს დროში მოსალოდნელია მისი გადაწვა.

წაღვერის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. სპიტარი) ბუნებრივი თივა 215 ჰექტარზეა ასაღები, მაგრამ ეს სამუშაო ჭიანურდება. ჩამორჩენის მიზეზია კოლმეურნეობაში შრომის დაბალი დისციპლინა. ოთხივე ბრიგადიდან სამუშაოდ გადის მხოლოდ 20-25 კოლმეურნე, მაშინ როცა კოლმეურნეობას 136 მუშა-ხელი ჰყავს. წაღვერის კოლმეურნეობაში დროზე არ იზრუნეს სასილოსე ორმოების მოსამზადებლად. კოლმეურნეობას ამჟამად აკლია ორმოები 101 ტონა სილოსისათვის. შეუკეთებელია არსებული ორმოებიც. კოლმეურნეობაში გაუთოხნავი დატოვეს 7,5 ჰექტარი სამინდის ნათესი, ახლა თივის აღებისა და დასილოსების პერიოდს დაემთხვა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაც.

როგორც წაღვერის კოლმეურნეობაში აცხადებენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სპიტარს ამ თანამდებობაზე მუშაობა არა სურს. ამასვე აცხადებენ ბორჯომის მტს-ის ხელმძღვანელებიც. ამიტომ იგი დაინტერესებული არ არის მუშაობის გაუმჯობესებით. პარტიის ბორჯომის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევენ.

თივის აღებისა და დასილოსების საქმე ჩაშლილია სოფელ საკირის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე გ. გოგოლაძე, პარტორგანიზაციის მდივანი თ. ბახტაძე). აქ გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარიდან გათიბულია მხოლოდ 64 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი. არ დაუწყიათ ნათესი ბალახის აღებაც. ამ სამუშაოსათვის საჭირო რაოდენობით არ გამოუყვიათ ურმები, არ მოუმარაგებიათ ცელები, სალესები, თოკები და სხვა ინვენტარი. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში. პურის მკის ამ ცხარე დღეებში 200 კაცი გარე სამუშაოზეა წასული, ხოლო 103 კოლმეურნეს წელს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა მინდვრის სამუშაოებში.

თივის აღებასა და დასილოსებაში ჩამორჩნენ ლიკანის, ზანავის, ყვიბისის, ტაბაწყურის, ციხისჯვრის, მზეთამზის კოლმეურნეობები. მზეთამზის კოლმეურნეობაში დისციპლინის დარღვევათა შორის ზოგიერთის კომუნისტიც არის. როცა კოლმეურნეობის გამგეობა პირუტყვის საკვების დამზადების საკითხს განიხილავდა, კომუნისტმა სანდრო გელაშვილმა თავმჯდომარეს უტიფრად განუცხადა: მე პირველ რიგში თავა ჩემი პირუტყვისათვის უნდა გავთიბო, ჩემთვის საჭირო არ არის თქვენი დადგენილების წაკითხვაო. პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მ. თედიაშვილი) ქმედითს ზომებს არ იღებს კომუნისტთა შორის შრომის დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

თივის აღებასა და დასილოსებაში ჩამორჩა ბორჯომის მტს-ი. მტს-ის განკარგულებაში არსებული თივის ასაღები 10 მანქანიდან არცერთი არ მუშაობს. მტს-ის დირექტორი პ. ჭიპაშვილი ჩამორჩენას ასე ხსნის: ბალახი დაბალია, მანქანით აღების დროს გრძელი ძირები რჩება და ეს ამცირებს საკვების რაოდენობასო. ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს.

სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობას საზოგადოებრივი პირუტყვი დაქირავებულ ბინებში ჰყავს. აქ წელს გათვალისწინებულია ადგომის აგება 100 სული პირუტყვისათ

მივცეთ საშუალება მეტი ლითონი

არსებულ შესაძლებლობებსაც ვერ იყენებენ

მტკიცედ დაიმკვიდრა მოწინავის სახელი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კოლექტივმა. იგი ყოველთვიურად გადაჭარბებით ანაღდებს დავალებებს. მილმგლინავებმა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა 7,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულეს; მათ კიდევ უკეთესად იმუშავეს ივლისში, საამქროთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

მილმგლინავებს ყველა შესაძლებლობა აქვთ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვონ. მაგრამ ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობებს.

რატომ? — იმიტომ, რომ მთელი დატვირთვით ვერ ამუშავებენ საგლინავ აგრეგატებს.

ხშირია შემთხვევა, როცა მოწყობილობა უქმად დგას, განსაკუთრებით დგანი „400“, რომელიც დიდდიამეტრიან მთლიანნაგლინ უნაწიბურო მილებს ამზადებს. ამ დგანზე ჩვეულებრივ სამი ცვლა უნდა მუშაობდეს, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ ორი ცვლა მუშაობს, ისიც არასრული დატვირთვით. არის ისეთი პერიოდი, რომელიც მთელი დღეღამის განმავლობაში დგას.

მილსაგლინავი მოწყობილობისა და მუშახელის მოცდენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მილნამზადის საამქრო სისტემატურად ვერ ასრულებს დავალებებს, სათანადო რაოდენობისა და ზომის ნამზადით ვერ ამარაგებს მილმგლინავებს. ლითონის დიდ ნაკლებობას განიცდიან დგან „400“-ზე. მიმდინარე თვის 13 დღეში მილმგლინავებს რამდენიმე ათასი ტონით ნაკლები ნამზადი მიაწოდეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ამან გამოიწვია მექანიზმების მოცდენა 48 საათით. 13 აგვისტოს ერთი ცვლა სულ გაცდა ლითონის უქონლობის გამო.

თავის მხრივ მილნამზადის საამქროს ხელმძღვანელები ბრალს სდებენ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტს, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ უნდა დაემთავრებინა ახალი წნეხის მონტაჟი, მაგრამ ვერ დაამთავრა. წნეხის საექსპლოატაციოდ გადაცემა მთლიანად გადაწყვეტს სათანადო ზომის მილნამზადით დგან „400“-ის უზრუნველყოფის საკითხს. ახლა კი მთელ ამ მძიმე და შრომატევად სამუშაოს ხელით ასრულებენ, რაც აფერხებს ნამზადის გამოშვებას. იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც შეავსოს წნეხის უქონლობით გამოწვეული მილნამზადის დანაკლისი, ქარხნის ხელმძღვანელობა იძულებულია წამყვან, მარტენის საამქროს მოაკლოს მუშები, რომლებიც ჯართს ჭრიან, და გადაიყვანოს მილდამამზადებლების დასახმარებლად. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს მარტენის ღუმელებში კაზმის დროულად ნატვირთვაზე.

მეტალურგმშენის ტრესტი შეუწყნარებლად აჭიანურებს აგრეთვე ახლადამუშავებული ბრძმედის სამექსერე განყოფილების მშენებლობის დამთავრებას. იგი რამდენიმე თვის წინათ უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ დღესაც არ არის ასამუშავებლად გამზადებული. ეს კი ხელს უშლის ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებას, მარტენის საამქროს მაღალხარისხოვანი თუჯით მომარაგებას.

მეორე მიზეზი, რომელიც აფერხებს მილმგლინავების გამართულ მუშაობას, ის არის, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო საგლინავი იარაღებით. კერძოდ, საფასონო-სამსხმელო საამქრო მილმგლინავებისათვის ამზადებს ხელსაწყოებს, ყრომლისოდაც შეუძლებელია მილების გლინვა, მაგრამ არარეგულარულად აწოდებს მას მილსაგლინავ საამქროს. ამის გამო ძალიან ხშირად საგლინავი მოწყობილობა ცდება. მაგალითად, პირველ აგვისტოს დგან „400“-ს მთელი დღეღამის განმავლობაში არ უმუშავნია, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ არ ჰქონდათ ეს სამარჯვები (ლეროს სამართულები). მიმდინარე თვის 13 დღეში ამ მიზეზით დგანის გაცდენამ 40 საათი შეადგინა.

საყვედურის ღირსი არიან სარემონტო-მექანიკური საამქროს მუშაკებიც, ვინაიდან მათ მიერ უხარისხოდ შესრულებული რემონტი ზოგჯერ მოწყობილობის მოცდენას იწვევს.

მზა პროდუქციის — ფოლადის მილების გამოშვების პროცესი მილსაგლინავ საამქროში მთავრდება. მის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ქარხნის მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა უნდა შეუქმნას მილმგლინავებს სრული დატვირთვით მუშაობისათვის და არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

მეტალურგმშენის ტრესტი კი ვალდებულია უმოკლეს დროში დაამთავროს მილნამზადის საამქროში ახალი წნეხის მონტაჟი და საექსპლოატაციოდ გაამზადოს ყველა ის სიმძლავრეები, რომელთა ამუშავების ვადა უკვე გავიდა.

ს. ყანდარელი.

მოდიან რკინიგზელთა ახალი კადრები

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საგზაო სკოლაში (დირექტორი ნ. ქართველიშვილი) ამჟამად სწავლობს და ოქტომბერ-ნოემბერში სწავლის კურსს დაამთავრებს 64 მემანქანის თანაშემწე, რომლებიც გაიგზავნებიან მემანქანეებად. ელმავლის მემანქანეებად ემზადება 67 ორთქლმავლის მემანქანე. ბათუმისა და სამტრედიის საორთქლმავლო დეპოებისათვის გადამზადებული იქნება 32 მემანქანე.

სკოლასთან არსებულ გზის ოსტატთა კურსებზე მეცადინეობს და კვალიფიკაციას იმაღლებს 28 მელიანდაგე ტრიგადირი. სექტემბერში 10-თვიან კურსებს ამთავრებს 52 ელექტრომექანიკოსი და 28 სამატარებლო რადიოტექნიკოსი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში

8 აგვისტოს სოჭში დაიწყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები.

საგასტროლო პროგრამაში შეტანილია ქართული მუსიკის კლასიკოსის ზ. ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „იოლანტა“, თანამედროვე უკრაინელი კომპოზიტორის კ. დანკევიჩის ისტორიული ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“, ჯ. ვერდის ოპერები „აიდა“ და „რიგოლეტო“, ლ. დელიბის „ლაკმე“ და ჟ. ბიზეს „კარმენი“.

გასტროლებზე თეატრი უჩვენებს ორიგინალურ ქართულ ბალეტებს: დ. თორაძის „გორდასა“ და „მშვიდობისათვის“, ა. ბალანჩივაძის „მთების გულს“; აგრეთვე პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბას“, მინკუსის „დონ-კიხოტს“.

მეტად საგულისხმო და კანონზომიერია, — წერს სოჭის საქალაქო გაზეთი „კრასნოე ზნამია“, — რომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის გასტროლები სოჭში დაიწყო დიდი ქართველი კლასიკოს-კომპოზიტორის, ქართული მუსიკალური სკოლის ფუძემდებლის ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“.

...ოპერის მუსიკალური დრამატურგიის თავისებურებებმა კანონზომიერად განსაზღვრა მონუმენტალობა დადგმისა, რომელიც თბილისის თეატრის სცენაზე განახორციელა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. თუმანიშვილმა. ამ სპექტაკლში პირველ პლანზეა დაყენებული მოქმედების არა დინამიკურობა, არამედ ოპერის დაძაბული შინაგანი დრამატიზმი. სცენიური მოქმედების მთელი მოძრაობა დაფუძნებულია სხვადასხვა ხასიათების დაპირისპირებაზე მათს ბრძოლაში. ოპერის ასეთმა გაგებამ დამდგმელსა და ცალკეული პარტიების შემსრულებლებს მოსთხოვა სცენიური სურათის უკიდურესი დახვეწა და რელიეფურობა, გარეგანი ხერხების ლაკონიურობა და გმირების მთავარი ტიპიური თვისებების, მათი ვნებებისა და სულიერი განცდების გახსნისადმი მაქსიმალური ყურადღება. სპექტაკლის დამახასიათებელი თვისებაა ფორმების სიმწყობრე და დასრულებულობა. გმირების ხასიათი გამოხატულია მკაფიო და ძლიერი ფერებით. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხება წამყვანი პარტიების შემსრულებლებს.

გაზეთი „კრასნოე ზნამია“ განსაკუთრებით აღნიშნავს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების ზ. ანჯაფარიძის (აბესალომი), თ. თაქთაქიშვილის (ეთერი), ბ. კრავეიშვილის (მურმანი), გ. გრიგოლაშვილის (აბიო), ე. ხიჯაკაძის (ნათელა), ნ. ხარაძის (მარეხი), ზ. სვანიძის (მხედართუფროსი) შესრულების ოსტატობას. ქებით არის მოხსენებული გუნდის პარმონიული, მწყობრი შესრულება.

თეატრის მთელი კოლექტივის უდავო შემოქმედებითი მიღწევები, — წერს დასასრულ გაზეთი, — დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელთა და პირველ რიგში სპექტაკლის დირიჟორის ო. დმიტრიადის მაღალი მომთხოვნელობის შედეგია. საუცხოოდ ეღერდა ორკესტრის სიმფონიურად განვითარებული და რთული პარტია, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპექტაკლის დრამატურგიაში და რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი ახასიათებს.

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ თბილისის თეატრის დადგმით — ეს არის ნამდვილად ეროვნული ეპოპეა, რომელიც მსმენელს თავისი მაღალი ჰუმანიტარებით აღელვებს და ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს.

12 აგვისტოს თეატრმა მაყურებელს დიდი წარმატებით უჩვენა კ. დანკევიჩის ისტორიული ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“. მაყურებლის საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს ბალეტებმა „გორდამ“ და „გედების ტბამ“.

15 აგვისტოს ნაჩვენები იქნა კომპოზიტორ გ. თორაძის ბალეტი „მშვიდობისათვის“.

სურათზე: თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ჯგუფი სოჭის თეატრის წინ.

ფოტო შ. გოქაძისა.

ვინ მფარველობს ვასილ ლობჟანიძეს?

ამბროლაურის რაიონის სოფელ აბარის მცხოვრებ ვასილ ლობჟანიძეს თანასოფლელები იცნობენ როგორც ზარმაცსა და თაღლითს. მას ერთი დღეც არ უმუშავნია კოლმეურნეობაში. ჯანღონით სავსე ვაჟკაცი რაჭის სამრეწველო კომბინატში მოეწყო მცველად და არნეინად გრძნობდა თავს.

— კოლმეურნეობაში მუშაობას ვერ შევძლებ, ჩემი ადგილი ქალაქშია. სამსახურს უფრო ვეგუები, მაგრამ ისიც მსუბუქი შესასრულებელი უნდა იყოს, — უტიფრად აცხადებდა ვ. ლობჟანიძე.

ასე გავიდა რამდენიმე წელი. თავისი უსაქმურობით ლობჟანიძემ სოფელში ზიზღი დაიმსახურა. მას ყველა კიცხავდა. შემდგომი მისი იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ხოლოს მან გამოსავალი ჰპოვა. 1949 წელს ჩამოვიდა სოხუმის რაიონში, სადაც ახალსოფლის კოლმეურნეობა „ბაღნარის“ წევრად მიიღეს. სოხუმელებმა როდი იცოდნენ მისი თაღლითობის ამბავი და ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს. ვ. ლობჟანიძეს სოფლის ცენტრში მისცეს მშვენიერი სახლ-კარი, გამოუყვეს 12 ათასი მანეთი სესხად, მისი მეუღლე სოფლის საავადმყოფოში მოაწყეს ექთანად.

პირველ ორ წელიწადს ვ. ლობჟანიძემ კოლმეურნეობაში კეთილსინდისიერად იმუშავა. მაგრამ შემდეგ გული აიცრუა და კვლავ ქალაქზე დაიწყო ოცნება. 1952 წლის ექვს თვეში მან მხოლოდ 12, 14 შრომადღე გამოიმუშავა. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, თავისას მაინც არ იშლიდა. ჩანაფიქრის განხორციელებაში მისთვის მთავარ დაბრკოლებას პასპორტის უქონლობა წარმოადგენდა, მაგრამ მოხერხებულობითა და გაიძვერული მოქმედებით შეძლო ეს საქმეც მოეგვარებინა. ლობჟანიძემ სურვილი განაცხადა ტყვარჩელის შახტებში წასულიყო სამუშაოდ. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ახალი პასპორტი მისცეს და ტყვარჩელისაკენ გაისტუმრეს... მაგრამ სანი თვის შემდეგ ვასილ ლობჟანიძე ქ. სოხუმში ტრესტ „სოხუმმშენის“ სახერხ ქარხანაში დურგლის თანამდებობაზე აღმოჩნდა. სულ მალე მან მეუღლეც გადმოიყვანა და ქ. სოხუმის სამშობიარო სახლში მოაწყო სამუშაოზე.

ვ. ლობჟანიძე 1953 წლის 10 მაისს კოლმეურნეობა „ბაღნარის“ გამგეობის სხდომაზე გარიცხულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელიდან. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი სამართლიანი გადაწყვეტილება მალე იქნებოდა გატანილი საერთო კრებაზე და შრომის დეზერტირი, თაღლითი ვ. ლობჟანიძე, როგორც კოლმეურნეობისათვის ზედმეტი ბარგი, დამსახურებულ სასჯელს მიიღებდა, მაგრამ აქაც მოახერხა მან თავის დაძვრენა და 1954 წლის 27 ივნისს შემდგარ კოლმეურნეთა საერთო კრებას გარიცხვა განთავისუფლებით შეაცვლევინა, თითქოს ის სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდია, რომელიც კოლმეურნეობიდან ლობჟანიძეს დაუტოვეს საკარმიდამო ნაკვეთი 0,07 ჰექტარის რაოდენობით, ხოლო ორი ნაკვეთი, რომელიც მას სხვადასხვა ადგილას ჰქონდა, ჩამოერთვა. ამასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებები იქნა შეტანილი ზონარგაყრილ წიგნში.

ვ. ლობჟანიძემ, მიაღწია რა განთავისუფლებას, შემდეგში მთელი ღონე იხმარა იმისათვის, რომ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთებიც დაებრუნებინა. ბევრჯერ დაწერა განცხადება, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწია. მიუხედავად ამისა, ვ. ლობჟანიძე ძველებურად სარგებლობდა აღნიშნული ფართობებით.

1953 წლის 21 დეკემბერს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ვ. ლობჟანიძისათვის ჩამორთმეული მიწის ერთ-ერთი ნაკვეთი 0,15 ჰექტარის რაოდენობით სამოსახლოდ მისცა სამამულო ომის ინვალიდს ხეესარიონ გულუას. ამით სასტიკად გაბაწყენებული დარჩა ვ. ლობჟანიძე. მან განიზრახა რაც უნდა დასჯდომოდა დაებრუნებინა აღნიშნული ნაკვეთი. ამ მიზნით იგი ხოროტმოქმედების ჩადენასაც არ მოერიდა. 1954 წლის 9 იანვარს ღამით შეიპარა ხ. გულუას ნაკვეთში და იქ პატარა სახლის მშენებლობა დაიწყო. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, ლობჟანიძემ მშენებლობა მაინც არ შეწყვიტა, რისთვისაც კოლმეურნეობამ იგი სასამართლო პასუხისგებაში მისცა.

სოხუმის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ეხვაიას თავმჯდომარეობით გაარჩია ეს საქმე. ვ. ლობჟანიძეს მიუსაჯა ექვსი თვით იძულებითი მუშაობა ხელფასიდან 25 პროცენტის დაკავებით და წინადადება მისცა სასწრაფოდ გადაეტანა აღნიშნული ნაკვეთიდან მის მიერ უკანონოდ აშენებული სახლი.

ამასთან სოხუმის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სხდომამ 1954 წლის 14 აპრილს გაარჩია ვ. ლობჟანიძის საქმე, გააუქმა ახალსოფლის კოლმეურნეობა „ბაღნარის“ წევრთა საერთო კრების დადგენილება ვ. ლობჟანიძის კოლმეურნეობიდან განთავისუფლების შესახებ, როგორც უსაფუძვლო, და დაავალა ამავე კოლმეურნეობის გამგეობას მორიგ კრებაზე გაეხილა ვ. ლობჟანიძის გარიცხვის საკითხი.

მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, ვ. ლობჟანიძე კვლავ არხეინად გრძნობს თავს. მას არც სახლი გადაუტანია და არც კოლმეურნეობის კრებაზე გამოცხადებულა.

ვინ მფარველობს გაიძვერა ვ. ლობჟანიძეს? როდემდის გაგრძელდება მისი თარეში?

ბ. წირღვავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მომხმარებლებმა რედაქციაში შემოიტანეს საჩივარი მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 143 სავაჭრო კიოსკში ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექტორი ამხ. გეტაშვილი გვატყობინებს, რომ № 143 სავაჭრო კიოსკის გამგეს ვ. ადამიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუებისა და ხურდის დაუბრუნებლობისათვის.

ადგილობრივი საბჭოები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება

თელავი

სახალხო განათლების ორგანოებისადმი სისტემატური დახმარება სასკოლო შენობების აგებისა და კეთილმოწყობის, ინვენტარით უზრუნველყოფის, მიწის ნაკვეთების მოვლის, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სკოლაში მოზიდვის საქმეში — ასეთია ადგილობრივი საბჭოების გადაუდებელი ამოცანები სკოლის დარგში.

პარტიის თელავის რაიონულმა კომიტეტმა და რაიონული საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ სწავლის დამთავრებამდე დასახეს ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად. გაიშალა მუშაობა ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ვენისის შუა რიცხვებში მოეწყო რაიონული თათბირი სკოლის საკითხებზე.

დეპუტატების — გ. თუშიშვილისა და ა. ნადაშვილის პრაქტიკული დახმარებით დროზე დამთავრდა თელავის საშუალო სკოლის მშენებლობა. მშენებლობაზე 932.000 მანეთი დაიხარჯა. ცალკე ოთახები დაეთმო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სასაუზმეს. ამასთან გამოყოფილია საპროექციო ოთახი და ექიმის კაბინეტი. ახალი სასკოლო შენობა მეოთხე საშუალო სკოლას გადაეცა.

სკოლების კაპიტალურ რემონტზე 301.663 მანეთი უნდა დაგვეხარჯა, ეს თანხა, გარდა უმნიშვნელო ნაწილისა, ათვისებულია. რემონტი გაუკეთდა თელავის რუსული საშუალო სკოლის შენობას. სარემონტო სამუშაოები მაღალხარისხოვნად არის შესრულებული, სახურავი, ჭერი და იატაკი უნაკლოდ არის შეკეთებული, ბავნები მკვიდრი და ლამაზია, კედლები ზეთის საღებავით შეღებეს. სკოლას ინვენტარი არ აკლია. შეშა მომარაგებულია.

იყალთოს 8-წლიანი სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო. იყალთოს სასოფლო საბჭოს სესიამ დაავალა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. ბაზიერაშვილს და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, დეპუტატ ა. ჭობალაშვილს პირადად ჩასდგომოდნენ სათავეში სკოლის რემონტის საქმეს. მათ უზრუნველყვეს სკოლის შესაკეთებლად საკმაო ხე-ტყის მასალის, კირის, ცემენტის, კრამიტისა და სხვა საჭირო მასალების მიზიდვა. კოლმეურნეობამ სკოლის რემონტზე სამუშაოდ მაღალკვალიფიციური ხელოსნები გამოჰყო. სკოლის შენობას სახურავი გამოუცვალეს, იატაკის დიდი ნაწილი ახლად დაგეს, ჭერს ძველი ნაწილები მოაცილეს და ახალი გაუკეთეს, კარ-ფანჯრები მკვიდრად შეაკეთეს, კედლები მაღალი გემოვნებით შეღებეს. ახლა სასკოლო შენობა ლამაზად გამოიყურება.

ართანის 8-წლიანი სკოლის შენობას კოლმეურნეობის თავმჯდომარის დეპუტატ ვასილ ჯიქურიშვილის დახმარებით სამი სასკოლო ოთახი შეემატა. ორი ოთახი შემატეს კურდღელაურის რვაწლიან სკოლას, ამასთან შეაკეთეს შენობის სახურავი, ჭერი, იატაკი და კარ-ფანჯრები.

რაიონის სკოლებში მთლიანად დამთავრებულია ინვენტარის რემონტი: შეკეთებულია 1.741 მერხი, 186 დაფა, 220 მაგიდა, 213 სკამი და სხვ. რაიონული საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს (მმართველი ი. ყარაულაშვილი) 80 ახალი მერხი უნდა დაემზადებინა, ფაქტიურად 100 საუკეთესო ხარისხის მერხი დაამზადა. სკოლებს შეემატა აგრეთვე 20 ახალი დაფა, 16 მაგიდა, 70 სკამი და სხვ. ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის შეძენილია 15.000 მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყოები, შესყიდულია 5.000 მანეთის სასპორტო ინვენტარი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად განხორციელება დიდად არის დამოკიდებული სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტ აღრიცხვაზე. საქალაქო და სასოფლო საბჭოებმა ამ საქმეში მასწავლებელთა დახმარებლად დეპუტატები გამოჰყვეს. უკვე აღრიცხულია პირველ კლასში მიღები 1.024 ბავშვი. კურდღელაურში, ხუშეტში, ვანთაში, წინანდალში და სხვა სოფლებში შარშან 60 ბავშვი ჩამოშორდა სკოლას. ამასთან წინა წლებში განთესილთა რაოდენობა 140-ს აღემატება. ადგილობრივმა საბჭოებმა სკოლებს ხელმძღვანელებთან ერთად დაწვრილებით შეისწავლეს სკოლას ჩამოშორებულ ბავშვთა მდგომარეობა, ესაუბრნენ მათს მშობლებს. 1 სექტემბერს ყველა განთესილი ბავშვი სკოლას დაუბრუნდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — 1954-1955 სასწავლო წლიდან ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ სკოლის ცხოვრებაში უდიდეს გარდატეხას გამოიწვევს. ქალაქ თელავში მოხდა სამი ქალთა და ორი ვაჟთა სკოლის შეერთება. კლასები სწორად არის დაკომპლექტებული.

გვაქვს ნაკლოვანებანიც, რომლებიც სწრაფ გამოსწორებას მოითხოვენ. იმის გამო, რომ რუისპირის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე დ. ხუციშვილი) ნაკლებად ზრუნავს სახალხო განათლების საქმეზე, საშუალო სკოლის რემონტი დღემდე არ დამთავრებულა. პირველი სართულის ერთ ოთახს იატაკი აკლია, მერხები უხეიროდ არის შეღებილი. ახალ ლის დაწყებითი სკოლის შენობა არ ვარგა, ახლის აშენებაზე კი არავინ ზრუნავს. ლეჩურის დაწყებითს სკოლას მიმდინარე რემონტი ცუდად გაუკეთეს. ფშავლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს რ. შათირიშვილს ეს ოდნავაც არ აწუხებს.

შუამთის საბავშვო სახლის შენობის კაპიტალურ რემონტზე 49 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს. ხელოსნები არიან, მაგრამ საშენი მასალა არ არის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამ საქმეში დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს.

მოგვარებული არ არის სკოლების შეშით უზრუნველყოფის საქმე. სულ საჭიროა 2.970 კუბმეტრი შეშა, დღემდე ნახევარიც არ არის მოზიდული. ამ საქმეზე აშკარა უდარდელობას იჩენენ შალაურის, რუისპირის, კონდოლის, ქვემო ხოდაშნისა და სხვა სასოფლო საბჭოები.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეების, სკოლების გამგე-დირექტორების და საშეფო საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა რაიონულმა თათბირმა, რომელიც რაისაბჭოს აღმასკომმა 10 აგვისტოს მოიწვია, ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ სწავლა ნორმალურ პირობებში დაიწყოს.

ი. ხაჩიძე,
თელავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გალი

რაიონში დროულად იქნა დაწყებული ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. შედგა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 14 სასკოლო შენობის კაპიტალურსა და 45 სასკოლო და საბავშვო დაწესებულების შენობების მიმდინარე რემონტს. დროულად დაიწყო სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის რემონტი. შეკეთებულია 1.797 მერხი, 212 დაფა, 194 მაგიდა, 335 სკამი და 19 კარადა.

სასკოლო შენობების და დგამ-ავეჯის რემონტი დროულად დაამთავრეს და ახალი სასწავლო წლისათვის სავსებით მზად არიან ოქუმის საშუალო, ჩხორთოლის, ღუმურიშის, ბედიის, დიხაზურგის, ხუმუშურის 8-წლიანი და სხვა სკოლები.

სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში აქტიურად ეხმარებიან კოლმეურნეობები, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აღსანიშნავია სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივა. კოლმეურნეობამ იკისრა სოფლის საშუალო სკოლის შენობას მიაშენოს ორი საკლასო ოთახი, კაპიტალური რემონტი გაუკეთოს შენობის სახურავს, სკოლისათვის საკუთარი სახსრებით შეიძინოს 50 ახალი მერხი, 10 კარადა და 50 სკამი, სკოლის ეზოში დადგას ლამპიონები. „პრაქტიკოს კოლმეურნეთა“ დახმარებით სანიმუშოდ მოაწყოს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი, სკოლისათვის 70 კუბმეტრი შეშის დასამზადებლად ჩაატაროს კვირეული.

ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივას საქმიანად გამოეხმაურნენ სოფელ ოქუმის ლენინის, სოფელ ჩხორთოლის ბარათაშვილის, სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობები, აჩიგვარისა და სოდის საბჭოთა მეურნეობები. მათ სკოლებს სერიოზული დახმარება გაუწიეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში: გამოუყვეს საშენი მასალა, დაეხმარნენ ტრანსპორტით, შრომითი მონაწილეობით და მატერიალური რესურსებით.

სერიოზული დახმარება გაუწია ოქუმის საშუალო სკოლას მშობელთა კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ჩ. ქვაჩახია.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ჩატარდა სასოფლო საბჭოების მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა. აღრიცხვის შედეგად 1 სექტემბრისათვის რაიონის სკოლების პირველ კლასებში მიღებულ იქნება 1.115 ბავშვი, ხოლო სკოლებს დაუბრუნდება წინა წლებში სხვადასხვა მიზეზით განთესილი 250 ბავშვი.

სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის შეძენილია თვალსაჩინო ხელსაწყოები. სასკოლო ბიბლიოთეკები 35 ათასი მანეთის კლასგარეშე საკითხავი წიგნებით შეივსო. ახალი სახელმძღვანელოები განაწილებულია სკოლების მიხედვით. ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სასკოლო-საცდელი მიწის ნაკვეთით.

სკოლები დროულად იქნა დაკომპლექტებული პედაგოგიური კადრებით. გადაისინჯა მასწავლებელთა შემადგენლობა. მასწავლებელთა კადრები შეივსო უმაღლესი განათლების მქონე 27 ახალგაზრდა მასწავლებლით. მიმდინარე ზაფხულის პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების კურსები გაიარა დაწყებითი სკოლების 37, მე-5-11 კლასების ცალკეული საგნების 70 მასწავლებელმა.

ცუდი მდგომარეობა არც საბოლოოთ მომარაგების საქმეშია. გეგმით გათვალისწინებული 2.820 კუბმეტრი შეშიდან უკვე დამზადებული და სკოლებში მიზიდული 1.815 კუბმეტრი. ამ დღეებში მოეწყობა მასობრივი კვირეული სკოლებისათვის შეშის დამზადებისა და სკოლაში მიზიდვის უზრუნველსაყოფად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სკოლა ჯერ კიდევ არ არის მზად ახალი სასწავლო წლისათვის, ნელი ტემპით მიმდინარეობს ქვემო ბარღებისა და ოტობაიის საშუალო, ნარინჯოვანის 8-წლიანი, 1 გუდავის, 1 ცხრისა და ნაკარღალის დაწყებითი სკოლების შენობათა რემონტი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზულად გვიშლის ხელს ის, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია და აფხაზმომარაგება საჭირო რაოდენობით ვერ აწვდიან საშენ მასალებს რაიონის სკოლებს, ადგილზე კი ზოგიერთი მასალის შოვნა შეუძლებელია, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

რაიონის ზოგიერთი სკოლის მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული სასწავლო-საცდელი მუშაობისათვის, გადაქცეულია ერთგვარ დამხმარე მეურნეობად (განახლების, ლეკუხონის 8-წლიანი და ფართონოხორის დაწყებითი სკოლები).

ახალი დგამ-ავეჯით გალის რაიონის სკოლები მარაგდებიან ცენტრალიზებული წესით, მაგრამ რაიონისათვის განკუთვნილი დგამ-ავეჯის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ამიტომ რაიონული მნიშვნელობის საწარმოებმა (გალის რაისამრეწველო კომბინატი, ყრუ-მუნჯთა არტელი და რაიონული სამშენებლო-სარემონტო კანტორა) ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რათა სკოლები დროულად იქნან უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით.

სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოვიყენებთ და სწავლას ორგანიზებულად დავიწყებთ.

ხ. ტუფურია,
გალის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენს მეგობრებთან

შენიშვნები პოლონეთში მგზავრობის შესახებ

მეგობრობის სასახლე

ვარშავის წინ მფრინავები, რომლებსაც თვითმფრინავები დედაქალაქში ჩრდილოეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთიდან მიჰყავთ, მკვეთრად ადიან დიდ სიმაღლეზე. დიდი ხანი არ არის, რაც ეს დაიწყო. შტურმანებს რომ შეუკითხებით მიზეზს, ისინი ღიმილით გიპასუხებენ: „ვარშავამ ამ ცოტა ხნის წინათ ჭერი აიმაღლა. იცით, როგორია სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის სიმაღლე? ორას მეტრზე მეტი!“.

თვითმფრინავიდან მეცნიერებისა და კულტურის სასახლის თეთრი, თითქოს მარმარილოს კლდისაგან გამოკვეთილი კორპუსი ისეთი მაღალი ჩანს, რომ გეგონება თავისი მოოქროვილი შპილით ღრუბლებს ეხებაო. ყველა, ვინც პოლონეთის დედაქალაქში ჩადის, მიეშურება ქალაქის ცენტრში, სასახლის მშენებლობის ადგილისაკენ. ეს ტრადიციად იქცა. ვისაც სურს დატკბეს დიადი ნაგებობის სანახაობით, იმათთვის სპეციალური ფიცარნაგიც კია გაკეთებული, საიდანაც კარგად ჩანს მთელი მშენებლობა.

სასახლის დათვალიერება ოცდამეათე სართულიდან დავიწყეთ. სწრაფმავალმა ლიფტმა აგვიყვანა ბაქანზე, რომელზეც აღნიშნული იყო 187 მეტრი. დაბლა გადაშლილი იყო ვარშავა თავისი მრავალი ქუჩითა და მოედნით. ქარიანი ამინდი იდგა, და დფლეთილი ღრუბლები ხშირად ზღუდავდნენ ხილვადობას.

შენობის შიგნით, როგორც ყოველთვის, დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. ათასობით მეარმატურე, მემონტაჟე, კალატოზი, ზეინკალი, ელექტრომონტიორი, ხური, შემლესავი შრომობდა აქ. მშენებლობის უფროსმა, ინჟინერმა გიორგი არკადის-ძე კრავჩენკომ გვითხრა, რომ წელს დამთავრდება შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები სართულების მნიშვნელოვან ნაწილში. მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მომავალი წლის ზაფხულისათვის.

კიბეებსა და მოედნებზე ხშირად გვხვდებოდნენ მშენებლები — ქალიშვილები და ჭაბუკები.

— საიდან ჩამოხვედით ვარშავაში?

პასუხად გაისმოდა:

— მოსკოვიდან, სვერდლოვსკიდან, კიევიდან, მინსკიდან, იაროსლავლიდან, დნეპროპეტროვსკიდან...

— კულტურისა და მეცნიერების სასახლეს მთელი საბჭოთა კავშირი აშენებს, — შენიშნა ამხ. კრავჩენკომ. — ზოგი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი მშენებლობაზე მუშახელს გზავნის, ზოგი — საშენ მასალას.

სასახლის მეთხუთმეტე სართულზე შემოგვხვდა პოლონელ ექსკურსანტთა დიდი ჯგუფი. ესენი იყვნენ ბელოსტოკელი ლეხები. სასახლის მასშტაბებსა და შესახედაობას გაეცვიფრებინა ისინი.

— ასეთი რამ ჯერ არასოდეს არ გვინახავს, — განაცხადა მშენებლობის უფროსთან საუბარში ერთ-ერთმა ექსკურსანტმა. — ძველ პოლონეთში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი შენობა. დიდი მადლობა საბჭოთა ხალხს ძვირფასი საჩუქრისათვის!

სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლე პოლონელ და საბჭოთა ხალხებს შორის მარადიული და ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა! ასე ფიქრობენ და ლაპარაკობენ სახალხო პოლონეთის მშრომელები. „ეს ჩვენი მეგობრობის ნათელი სასახლეა, — წერს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მწერალი კაზიმეჟ კოზნევსკი. — მანეთით ან ზლოტით გამოხატული მისი ღირებულებით ვერ გაიზომება ჩვენი საბჭოთა მეგობრების ამ ჟეშმარიტად ფასდაუდებელი საჩუქრის მთელი სიდიადე. მისი ღირებულება ციფრებით ვერ გამოიხატება. ეს ღირებულება მანქანების, აგურის, ფოლადის, ბეტონის, მინის ღირებულებაზე მაღალია. ვინაიდან ამ სასახლეში ჩვენ ვხედავთ იმ დიდი მეგობრობის მკაფიო განსახიერებას, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის დამყარდა და წლითიწლობით მტკიცდება“.

კულტურისა და მეცნიერების სასახლე ცნობილია პოლონეთის ყოველ კუთხეში. მოსწავლეები უშეცდომოდ, თითქოს ნატურიდან, ხატავენ თავიანთ ალბომებში მისი კორპუსების დახვეწილ წახნაგებს და მის წვრილ, მაღალ შპილს. ქვემო სილეზიის ერთ-ერთი საწარმოო კოოპერატივის სბავშვო ბაღში პაწაწინა ქერა გოგონა მოგვიყვა გალექსილ ზღაპარს სასახლის შესახებ. „ვესელა-2“ შახტის სანგრევში მაღაროელები, როგორც კარგი მცოდნეები, ღაწვრილებით მოგვითხრობდნენ, რა დაწესებულებები მოთავსდება სასახლეში.

ყველგან, სადაც კი ჩამოვაგდებდით ლაპარაკს კულტურისა და მეცნიერების სასახლეზე, მას ამაყი და ნაზი სიყვარულით უწოდებდნენ მეგობრობის სასახლეს.

ნათელი ჰორიზონტები

კრაკოვიდან ზაკოპანეში რომ მიდიხარ, ტატრის მთისძირებში შეგხვდება პატარა სოფელი, რომელსაც ნაპრავა ეწოდება. მთის ლამაზ ფერდობებზე აქა-იქ გაფანტული წამახულსახურავებიანი ხის პატარა სახლები. ერთი შეხედვით გეჩვენება, რომ ამ სოფელში შესამჩნევი არაფერია. მაგრამ ნაპრავა მთელ პოლონეთშია ცნობილი. მას პატარა მოსწავლეებიც კი იცნობენ.

ბურჟუაზიულ-მემამულურ პოლონეთში ეს გადაშენების გზაზე დამდგარი ტიპიური სოფელი იყო. გამოუვალი სიღატაკის მარწუხში მოქცეული, იგი სულს ღაფავდა უმიწობისაგან. ასობით მისი მცხოვრებნი სამუშაოს საძებნელად მიდიოდნენ კრაკოვში, კატოვიცში, ლვოვარგეთ. ისინი კი, ვისაც ნაპრავიდან წასვლის შესაძლებლობა არა ჰქონდა, ხშირად თვითმკვლელობას მიმართავდნენ.

ომამდელი ნაპრავის მიწის მუშათა ცხოვრება მასალად დაედო სინამდვილის ამსახველ მოთხრობას „გრიპი მძვინვარებს ნაპრავაში“. იგი დაწერა სოფელ ნაპრავის მკვიდრმა იალიუ კურეკმა. მოთხრობის სახელწოდება მწერალს თვით ცხოვრებამ უკარნახა. ნაპრავის ყველა უბედურებას ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხსნიდნენ სნეულებებით, კერძოდ, ავთვისებიანი გრიპით.

მოთხრობის „გრიპი მძვინვარებს ნაპრავაში“ ერთ-ერთი გმირი, მოსამართლე კორაბოვსკი, რომელმაც სამუშაო დაკარგა, სასოწარკვეთილი იძახდა: „პოლონეთში არ არის და არც იქნება სიხარული!“.

მოსამართლე კორაბოვსკი და მასთან ერთად ბევრი სხვა სასტიკად სცდებოდა. პოლონეთში უკვე არის სიხარული. იგი მოიტანა სახალხოდემოკრატიულმა წყობილებამ, რომელმაც მიწოლონობით უბრალო ადამიანებს ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზა გაუხსნა.

ჩვენ შეეჩერდით ახლად აშენებულ პატარა სახლთან, რომელიც ხალისიანად გადმსცქეროდა ფანჯრებით გზატკეცილს. კასთან შეგვხვდა სახლის პატრონი, უკვე ხანში შესული გლეხი. იგი კარგი თანამესაუბრე აღმოჩნდა, და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ნაპრავის ყველა ახალი ამბავი ვიცოდით.

— ძველ ნაპრავაზე არ ვილაპარაკებ, — ერთი წამის დაფიქრების შემდეგ თქვა გლეხმა. — იმაზე ისეც ბევრია ნათქვამი და დაწერილიც, — და ყურადღებით დაგვაკვირდა, თითქოს „გვეკითხებოდა, მოთხრობა წაკითხული გაქვთ თუ არაო. — სჯობს ახალ ნაპრავაზე ვილაპარაკოთ!

გარშემო მიმოიხედეთ. რას ხედავთ? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა ახალ სახლებს. სახალხო ხელისუფლების არსებობის წლებში მარტო მე როდი ამიშენებია ახალი სახლი. სახლის აშენება კი ხუმრობა როდია. გლეხი მშენებლობას ხელს ჰკიდებს მხოლოდ მაშინ, როცა მას არა მარტო ფული აქვს ჯიბეში, არამედ როცა მთელი მისი ოჯახი მაძღარი და ჩაცმულ-დახურულია. სოფელში მშენებლობას ჩვეულებრივ მაშინ იწყებენ, როცა შეძლებული ხდებიან. ახლა თვითონ განსაჯეთ, როგორ ცხოვრობს ნაპრავა!

უფრო მეტი ყურადღებით დააკვირდით, ამხანაგო, — განაგრძო გლეხმა. — კიდევ რას ხედავთ?.. ჰო, სკოლას. მართალია. დიდი თეთრი შენობა, კრამიტით რომ არის დახურული, სკოლაა. სრული საშუალო სკოლა! ომამდე ნაპრავაში იყო მხოლოდ სამკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ნახევრად დანგრეულ გლეხურ ქოხში იყო მოთავსებული. კიდევ რას ხედავთ? სწორია, სამედიცინო პუნქტს. ეს შენობაც სახალხო ხელისუფლების დროს აშენდა. წინათ ექიმბაშებთან ვმკურნალობდით, ახლა უმაღლესი განათლების მქონე ექიმი გვყავს! აბა, კიდევ რას ხედავთ? საბავშვო ბაგას? სწორია. ამ წლის გაზაფხულზე ავაშენეთ. ახლა ჩვენი ბავშვები ისე იზრდებიან, როგორც სამოთხეში!

— მიწის საქმე როგორღა არის ნაპრავაში? — კკითხეთ ჩვენ.

— ჩვენი ცხოვრება სწორედ მიწით დაიწყო, — ოცცხლად მოგვიგო გლეხმა. — რეფორმით ჩვენ გადმოგვეცა მემამულეთა მიწა. ნაპრავის მცხოვრებთა ნაწილი დასავლეთ მხარეში გადასახლდა. წასული გლეხების ნაკვეთებიც სახალხო საბჭომ ჩვენ გადმოგვცა. ასე მოვუდეთ ბოლო უმიწობას. ახლა ნაპრავის ყოველ გლეხს აქვს თავისი ნაკვეთი!

თანამოსაუბრემ შემდეგ ხალისით გვიამბო ბიბლიოთეკასა და წიგნებზე, სახალხო სახლსა და სპექტაკლებზე, ნაპრაველ სტუდენტებზე, კრაკოვსა და ვარშავაში რომ სწავლობენ, ნოვა გუტას მშენებლებზე, რომელთაგან ბევრი უკვე ემზადება იმისათვის, რომ უახლოეს დროში ბრძმედებთან და მარტენებთან დადგეს.

იგი უფრო გამოცოცხლდა, როცა ლაპარაკი ჩამოაგდო საწარმოო კოოპერატივზე. ეტყობოდა, რომ ეს თემა მისთვის განსაკუთრებით მახლობელი იყო.

— ჩვენში უკვე ჩამოყალიბდა საწარმოო კოოპერატივი. გადაწყვეტილი მაქვს შემოდგომაზე მეც შევიდე იქ. განცხადება უკვე მზადა მაქვს, აი აქ მიდევს, — და იგი ფრთხილად შეეხო ხალათის ჯიბეს. — მინდა კიდევ უფრო საამურად ვცხოვრობდე!

— ჩვენს სოფელს ახლა დიდი ცხოვრება აქვს, — გამოთხოვებისას გვითხრა გლეხმა. — ნაპრავას წინ ნათელი ჰორიზონტები გადაეშალა!..

ი. მაკარენკო.

ერნსტ ჯელმანის ხსოვნისათვის

ბერლინი, 19 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბერლინის თეატრ „ფრიდრიხშტადტ-პალასტში“ გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის ორგანიზაციის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა ფაშისტების მიერ გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ერნსტ ტელმანის ავადმყოფური მოკვლის მეათე წლისთავის გამო. სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, დიდი ბერლინის ბურგომისტრი ფ. ებერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კარლ შირდევანი, გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე გ. ვარნკე, ე. ტელმანის ქვრივი როზა ტელმანი და სხვები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გერმან მატერნმა.

ახალი დანიშვნები რუმინეთის მთავრობაში

ბუქარესტი, 19 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გეორგიუ-დეჟის წინადადებით დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა დანიშნა იოსებ კინმინეკი, კიკა სტოიკა და ალექსანდრუ მოგიოროში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებად. ემილ ბოდნარაში, მირონ კონსტანტინესკუ და პეტრე ბორილა დანიშნული არიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად.

დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის მინისტრების ბრიუსელის თათბირის წინ

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენდეს-ფრანსი ბრიუსელს გაემგზავრა, სადაც 19 აგვისტოს იხსნება დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის (საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის) მინისტრების თათბირი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ („ევროპის არმიის“) საკითხზე. თათბირზე განიხილავენ საფრანგეთის მთავრობის წინადადებებს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულებაში მთელ რიგ ცვლილებათა შეტანის შესახებ. ამ ხელშეკრულებას საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა, მაგრამ ჯერ არ დაუმტკიცებია. ხელშეკრულებას, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, მისი სამხედრო ძლიერების აღდგენას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების სამსახურისათვის, საფრანგეთის ეროვნულ კრებაში აგვისტოს დამლევს განიხილავენ. დღემდე საფრანგეთის მთავრობა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბონის ენერგიული ზეგავლენისა, ვერ ბედავდა პარლამენტში დაესვა საკითხი ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რადგან დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმები საფრანგეთში აწყდება უაღრესად ფართო და მტკიცე წინააღმდეგობას.

ითვალისწინებს რა, რომ შეუძლებელია მიაღწიოს საფრანგეთის პარლამენტის მიერ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების რატიფიკაციას მისი ახლანდელი სახით, მენდეს-ფრანსმა შეიმუშავა ხელშეკრულების მთელი რიგი „შესწორებანი“ და იმედი აქვს, რომ, თუ ეს შესწორებანი მიიღეს „გაერთიანების“ მონაწილე დანარჩენმა ქვეყნებმა, მაშინ საფრანგეთში ხელშეკრულების ზოგიერთი მოწინააღმდეგის აზრი მოიხსნება და ხელშეკრულებისადმი ოპოზიცია გაითიშება.

მენდეს-ფრანსის წინადადებათა ტექსტი ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა. მაგრამ, პრესის ცნობების მიხედვით, მის მიერ შეტანილი „წინადადებანი“ ხელშეკრულების არსს არ ეხებიან.

მენდეს-ფრანსის წინადადებანი წინასწარ გაეგზავნა ხუთი სხვა დაინტერესებული ქვეყნის მთავრობებს. როგორც პრესა იუწყება, იმ ქვეყნების გარკვეულ წრეებში, რომელთა პარლამენტებმა უკვე დაამტკიცეს ხელშეკრულება, ამ წინადადებებმა „უკმაყოფილება“ გამოიწვიეს. „საზღვარგარეთ, — ნათქვამია ფრანს პრესის სააგენტოს ერთ-ერთ ცნობაში, — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იმას უსაყვედურებენ, რომ მან დაიკავა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნისადმი მტრული პოზიცია, ზოგიერთი მას ბრალად იმასაც კი სდებს, რომ სურს ჩაშალოს ევროპის არმიის შექმნა“. სააგენტო გასაგებად აცხადებს, რომ ეს საყვედური უსამართლოა და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ მენდეს-ფრანსის „კომპრომისულ წინადადებათა“ დამტკიცებისას გადადგნენ ხელშეკრულების მოწინააღმდეგე მინისტრები, ხელშეკრულების მომხრეებმა კი მხარი დაუჭირეს შეტანილ წინადადებებს.

მენდეს-ფრანსის „კომპრომისი“, აღნიშნავს სააგენტო, „არ ეხება ხელშეკრულების ძირითად შინაარსს“.

მემარჯვენე გაზეთ „ფიგაროს“ აგრეთვე მიაჩნია, რომ წინადადებანი, რომლებსაც საფრანგეთის მთავრობა ბრიუსელის თათბირზე შეიტანს, „არ შეცვლიან „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების არსს“. გაზეთის იმედი აქვს, რომ ეს წინადადებანი შესაძლებელს გახდიან შეიქმნას ისეთი პირობები, „რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ საფრანგეთის პარლამენტმა ხელშეკრულება დამტკიცოს“.

გარდაიცვალა დე გასპერი

რომი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც ანსას სააგენტო იუწყება, დღეს გულის სიდამბლით გარდაიცვალა იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, „ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის“ ლიდერი ალჩიდე დე გასპერი.

ბოლარი. გორის საკონსერვო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე.

ფოტო შ. კუკულავისა.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

კიევი. 19 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში კიევის „დინამოს“ გუნდსა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდს შორის.

მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 19 აგვისტო. აქ გაიმართა შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა“ და „ცდსა“-ს გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:1.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში

კიევი. 19 აგვისტო. გუშინ აქ, „დინამოს“ სტადიონზე, შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. თამაშობდნენ კლუბ „ასველის“ (ქ. ლიონი, საფრანგეთი) და საზოგადოება „ფალგარისის“ (ლატვის სსრ) კალათბურთელები.

საინტერესო სპორტული შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 79:38.

მოსწავლეთა პირველი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა

ლენინგრადი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოსწავლეთა პირველი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა.

მონაწილეობს 20 გუნდი, რომლებიც წარმოადგენენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, მოსკოვსა და ლენინგრადს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს და გზათა სამინისტროს.

სპარტაკიადის ხაორგანიზაციო კომიტეტის დავალებით ნორჩ სპორტსმენებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ა. დანილოვამ. სპარტაკიადის მონაწილეთ მიესალმა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ბ. ტუმანოვა.

პარადის შემდეგ დაიწყო მძლეოსანთა შეჯიბრება. ჭაბუკები და ქალიშვილები ერთმანეთს გაეჯიბრნენ რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში. გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი უჩვენა ლენინგრადელმა ი. ბერკინმა — 1 მეტრი და 95 სანტიმეტრი. ეს ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია 17-18 წლის ჭაბუკებისათვის. მიმდინარე წელს დამყარებული წინანდელი რეკორდიც მას ეკუთვნოდა და უდრიდა 1 მეტრსა და 94 სანტიმეტრს.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ პირველ ადგილზე არიან ლენინგრადელი მძლეოსნები.

ქართული საგუნდო სიმღერების კრებული

მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით ამ დღეებში გამოვა ქართული საგუნდო სიმღერების კრებული, რომელშიც შევა 50 ხალხური სიმღერა და კომპოზიტორთა ნაწარმოები.

კრებულში შეტანილია ხალხური სიმღერები „ჩონგურო“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ნადური“, „მრავალჟამიერი“ და სხვ., კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან — ა. ბალანჩივაძის „ნუში“, ვ. ცაგარეიშვილის „დიდება პარტიას“, ა. მაჭავარიანის „ჩვენი პარტია“, გრ. კოკელაძის „საზეიმო მგზავრული“, შ. მილორავას „სიმღერა ლენინზე“, ვ. ჭუმბურიძის „სიმღერა სტალინზე“, შ. მშველიძის „ერემლის ვარსკვლავი“, რ. გაბიჩვაძის, მ. დავითაშვილის, დ. თორაძისა და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ქართული ხალხური სიმღერები, რომლებიც კრებულში შევიდა, პირველად იბეჭდება.

ახალი საფოსტო განყოფილებები

რესპუბლიკაში ქალაქად და სოფლად ფართოვდება საფოსტო განყოფილებებისა და კავშირგაბმულობის სააგენტოების ქსელი.

ამ დღეებში საბურთალოში გაიხსნა კარგად მოწყობილი საფოსტო განყოფილება, სადაც ყველა სახის საფოსტო ოპერაციები წარმოებს. მეშახტეების ქალაქ ტყვარჩელში ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ ახლად აშენებული საფოსტო განყოფილება. კავშირგაბმულობის საგენტო მიიღო თავის ტერიტორიაზე გეგეჭკორის მტს-მა. საფოსტო განყოფილებები გაიხსნა აგრეთვე კურორტებზე ბაგრასა და გუდაუთში, სადაც ათასობით დამსვენებელი ჩასული. კავშირგაბმულობის სეზონური სააგენტო მუშაობს საგარეუბნო კურორტ კიკეთში.

წელს რესპუბლიკაში ამუშავდა 17 ახალი საფოსტო განყოფილება და კავშირგაბმულობის სააგენტო. წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე განყოფილება გაიხსნება.

საქართველოდან გაემგზავრნენ ინდონეზიის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო ინდონეზიის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფი ქ-ნ ანდრიასის მეთაურობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ისტორიული და კულტურული ძეგლები, იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მეორე სამშობიარო სახლში. უცხოელთათვის კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მათ უჩვენეს თბილისის კინოსტუდიის ფერადი ფილმები „საბჭოთა საქართველო“ და „საქართველოს ცეკვები“.

ინდონეზიის ქალთა წარმომადგენლებმა დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი გორში, მათ იმოგზაურეს აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. აქ ისინი გაეცნენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ ჯანმრთელობის კერებში და კოლმეურნეობებში.

ინდონეზიის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები სოხუმიდან მოსკოვს გაემგზავრნენ. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაბიკიძე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი
21 აგვისტო
ფეხბურთი
შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდებს შორის
სპარტაკი (ერევანი) — **ოფიცერთა საოლქო სახლი (თბილისი)**
დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის მხარე აჩვენებს შეთანხმებას კორეაში დაზავების შესახებ

გენერალ ლი სან ჩოს პროტესტი

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, გუშინ დაზავების საკითხთა სამხედრო კომისიის სხდომაზე კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელმა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკის მხარე ახალ პროვოკაციულ მოქმედებას მიმართავს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის წინააღმდეგ.

ლი სან ჩომ აღნიშნა, რომ 9 და 10 აგვისტოს ამერიკის მხარემ „დემონსტრაციები“ მოაწყო ნეიტრალური კომისიის წინააღმდეგ კანინში, კუნსანში, სეულსა და სხვა ქალაქებში. ამერიკის მხარეს დღემდე არავითარი ღონისძიება არ მიუღია იმასთან დაკავშირებით, რომ საინსპექციო ჯგუფების წევრებზე თავდასხმა მოხდა პუსანსა და კუნსანში, და არავითარი განმარტება არ წარუდგენია ამის შესახებ დაზავების საკითხთა სამხედრო კომისიისათვის.

შემთხვევითი როდია, — განაცხადა შემდეგ ლი სან ჩომ,—რომ ამერიკელმა სარდალმა გენერალმა ჰელმა ვაშინგტონიდან დაბრუნებისთანავე, სადაც იგი მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლი სინ მანის მოლაპარაკებაში, განაცხადა, სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისია უნდა დაშალოსო. ამით ამერიკელები ცდილობენ თავი გაითავისუფლონ იმ მიზნით, რომ დამატებითი რაოდენობით შეიტანონ კორეაში საბრძოლო საშუალებანი, დაჩქარონ ლი სინ მანის არმიის შეიარაღება, მიაღწიონ იმას, რომ მტკიცე არ იქნეს დაზავება კორეაში და შექმნან დაძაბული მდგომარეობა აზიაში.

გენერალმა ლი სან ჩომ პროტესტი განაცხადა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მხარემ 10 აგვისტოს დაარღვია შეთანხმება დაზავების შესახებ. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი შეიჭრნენ შუნდუნის მახლობლად დემილიტარიზებულ ზონაში, რომელსაც კონტროლს უწევს კორეა-ჩინეთის მხარე, თავს დაესხნენ კორეა-ჩინეთის მხარის სამოქალაქო პოლიციელებს და ორი მათგანი დაჭრეს.

ამერიკის მხარემ, — განაცხადა ლი სან ჩომ, — დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ამგვარი უკანონო მოქმედება, დასაჯოს თავისი სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც წილი უდეთ ამ ინციდენტებში, და უზრუნველყოს, რომ ასეთი მოქმედება არ გამეორდეს.

ინდონეზიის მთავრობამ მოიწონა ჰოლანდია-ინდონეზიის მოლაპარაკების შედეგები

პეკინი, 18 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, რომ ინდონეზიის მთავრობამ მოიწონა ინდონეზიისა და ჰოლანდიის მოლაპარაკების შედეგები ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის ლიკვიდაციის შესახებ.

დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის მონოპოლიების საკონკურენციო ბრძოლა

ბერლინი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებმა, რომლებიც გაიფთრებულ საკონკურენციო ბრძოლას უწევენ ინგლისისა და საფრანგეთის კომპანიებს გასაღების ბაზრებისათვის, ამ უკანასკნელ ხანს დაიწყეს შეტევა თავიანთი მფარველების — ამერიკელების პოზიციებზეც. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიების ექსპანსიის ერთ-ერთი ობიექტია ახლო აღმოსავლეთი და, კერძოდ, საუდის არაბეთი, სადაც გაბატონებულია ამერიკის კაპიტალი.

ამას წინათ რაინისა და რურის მრეწველთა ორგანომ გაზეთმა „ინდუსტრი კურიერმა“ გამოაქვეყნა სტატია დასავლეთ გერმანიისა და ამერიკის ფირმების საკონკურენციო ბრძოლაზე საუდის არაბეთში. გაზეთი იუწყება, რომ საუდის არაბეთის მთავრობამ გააუქმა ხელშეკრულება ამერიკის ერთ ფირმასთან, რადგან უკმაყოფილო იყო ფირმის მიერ წარდგენილი პირობების გამო. დასავლეთ გერმანიის მრეწველებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით და უფრო ხელსაყრელი პირობები შესთავაზეს. ამის შედეგად საუდის არაბეთის მთავრობამ ხელშეკრულება დადო დასავლეთ გერმანიის ორ სამშენებლო ფირმასთან „განზა შტალ ექსპორტთან“ (დიუსელდორფი) და „ბერგერ ტიფბაუსთან“ (მაინის ფრანკფურტი).

გამოფენა კოპენჰაგენში

ამას წინათ კოპენჰაგენში (დანია) საგამოფენო შენობა „ფორუმში“ გაიხსნა სსრ კავშირის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოფენა, სადაც წარმოდგენილ იქნა მრავალრიცხოვანი ექსპონატები. ეს ექსპონატები ნათლად უჩვენებდნენ საბჭოთა ინდუსტრიის სიმძლავრესა და საბჭოთა მუშების დიდ ოსტატობას.

გამოფენას ყოველდღიურად ათასობით ექსკურსანტი ათვალიერებდა. მნახველები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იმაში, თუ რა გრანდიოზული მასშტაბებით მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი მშენებლობა, რომ საბჭოთა ხალხს, რომელიც თავდადებული შემოქმედებითი შრომით აშენებს კომუნიზმს, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე აგრესიული ზრახვები ან მისწრაფებები სხვა ხალხების მიმართ.

ტყუილად როდი უწოდებდნენ კოპენჰაგენში საბჭოთა პავილიონს „მშვიდობიანი შრომის პავილიონს“.

სურათზე: სსრ კავშირის პავილიონის ერთ-ერთ განყოფილებაში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-51-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნებისა—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЕ 04076 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.